დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 92 ოთხშაბათი, 28 აპრილი 1910 წ. № 92

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებაანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

„საარტისტო საზოგად.“ თეატრი

25 წ. საიუბილეო დღესასწაული 25 წ.

● ხუთშაბათს, 6 მაისს ●

ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგ. გამგეობათა-მიერ ქართულ და სომხურ სცენების არტისტის გედეონ ვასილის ძის

გედევანოვ-მირალიანის

25 წ. სასცენო მოღვაწეობის ალსანიშნავად გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენა

წარმოდგენილი იქნება:

I. ქართულად: მოლიერის ტარტიუფი მეოთხე რეჟისორი კ. მოქმედება, შათირიშვილი

II. სომხურად: გ. სუნდუკიანცის დაქცეული ოჯახი პირველი რეჟისორი ომ. მოქმედება მაისურიანი.

III. ქართულად: ა. ცაგარლის ხანუმა მეორე რეჟისორი კ. მოქმედება შათირიშვილი.

მილოცვები, ადრესები და სხვა.

მონაწილეობას იღებენ: (ანბანთა რიგით) ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ვართუი, თ. გოგოლაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მელიქიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ჩიმიშკიანი; ბ-ნნი ვ აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი-მირალიანი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, ა. მამოკონიანი, დ. მგალობლიშვილი, ი. ზ. ტერდავითიანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საიუბილეო კომისია.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

დამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დ[illegible] ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკუთ ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირაძოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—163)

კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

განყოფილება პირველი:

შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის

საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით

საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის

განყოფილება მეორე:

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის“ (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

განყოფილება მესამე:

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. ცხენი, ძროხა, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

განყოფილება მეოთხე:

ჭინჭილა შუშხუნები

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

— ბუფეტი; ჩაი, ყვავილები, სერპანტინი. — (8—6)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ვ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—328)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს აღ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—170)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—28)

ექიმი ვაჟ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—57)

ბებია ქალი სოფიო ილიას ასული გელხორდტ-ლოკიში რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში. დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—11)

ექიმი შ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—80)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე 1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—5

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—421)

ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—30

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—50

ახალი დასურათებული
საყმაწვილო წიგნი
„ცხოველების — — გამჭრიახობა“
შედგენილი ან. წერეთლის მიერ.
ფასი 25 კ.
და მარკ ტვენის თხზულება მრავალი — სურათით —
„ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“
ფასი 60 კ.
იყიდება „ჯეჯილი“-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.
ვინც ათზე მეტს იყიდის, დაკლება 20%. (6—2)

ჟურნალი
„მოგზაური“
სამი წლისა, ივ. როსტომაშვილის გამოცემა, იყიდება ერთ მანეთად.
ამ სამი წლის ნომრებში დასტამბულია სურათები კირიონ ეპისკოპოსის, ლეონიდის, ტფილისის გეგმა, დახატული 1700 წ., მეორე გეგმა ვახუშტისა, დახატული 1735 წ., მრავალი სურათი საქართველოს ძველის ნაშთებისა: სიონის, ცხეთის ტაძრის, კუმურდოსი და სხვა. აქვე მოთავსებულია დ. ნახუცრიშვილის დრამა „იანიჩარი“ და სხვა ძველი სურათებიც.
ადრესი: „დროების“ რედაქცია. (3—2)

ქუთაისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ მდგომარე 1910 წლის 28 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეჯიბრება იმ პირთა, რომელთაც სურთ იკისრონ ქალაქის გეგმის (პლანის) შედგენა. პირობების გაცნობა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდი, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (5—ნ.—5)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—411

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

სამძიმარი

სააღდგომო დღესასწაულების შემდეგ, კვლავ განახლდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომები. პირველი სხდომა 26 აპრილს მოხდა. თავმჯდომარემ გუჩკოვმა სხდომის დაწყებისას აცნობა სათათბიროს ინგლისის მეფის ედუარდ მეშვიდის გარდაცვალების ამბავი, სთქვა, რომ განსვენებული მეფე დიდი მეგობარი იყო ჩვენი იმპერატორისა და კეთილის მოსურნე რუსეთისა, რომ იმის წყალობით მოისპო უთანხმოება რუსეთისა და ინგლისს შორის და ეხლა ამ სახელმწიფოთა შორის საუკეთესო ურთიერთობაა და წინადადება მისცა სათათბიროს, ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას (დეპუტატები ადგნენ. ს.-დემოკრატები არ დასწრებიან სხდომას) და დაავალოს მას, თავმჯდომარეს, სამძიმარი გამოუცხადოს ინგლისის ელჩს და აგრეთვე სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს ინგლისის პარლამენტს.

პურიშკევიჩი. მე წინააღმდეგი ვარ დეპეშა გაეგზავნოს ინგლისის პარლამენტს.

გარეშე საქმეთა მინისტრმაც წარმოსთქვა მოკლე სიტყვა ინგლისის მეფის გარდაცვალების გამო. იგი სიხარულით მიეგება თავმჯდომარის წინადადებას და სთქვა, მე გულ-წრფელად ვუერთდები ამ წინადადებას და მიხარის, რომ ამ სამწუხარო მოვლენის გამო ყველანი ერთის გრძნობითა ვართ განმსჭვალულნიო. მინისტრმაც ისა სთქვა, რაც გუჩკოვმა: განსვენებული მეფე შესანიშნავი კაცი იყო, იმის წყალობით დაახლოვდნენ რუსეთი და ინგლისიო და სხვა.

პურიშკევიჩმა კვლავ მოითხოვა სიტყვა.

თავმჯდომარე. ნაკაზის ძალით სიტყვის ნებას ვერავის მივცემ.

პურიშკევიჩი. მაშ თქვენ მეორე წინადადებას (დეპეშის გაგზავნის შესახებ) კენჭი უყარეთ.

თავმჯდომარე. გთხოვთ, მაგ. კილოთი ნუ მელაპარაკებით, თორემ სათათბიროდან დაგითხოვთ.

პურიშკევიჩი. ჩემი დათხოვნა სათათბიროს შეუძლიან და არა თქვენ.

თავმჯდომარე (სათათბიროს). პურიშკევიჩმა ისეთი სიტყვები წარმოსთქვა, რაც არ შეეფერება ახლანდელ მომენტს, როდესაც ჩვენი მეგობარი ერი დიდ მწუხარებას განიცდის. წინადადებას გაძლევთ, პურიშკევიჩი სამი სხდომიდან დაითხოვოთ.

პურიშკევიჩი. მემარჯვენენი უერთდებიან იმ წინადადებას, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის საშუალებით დეპეშა გაეგზავნოს ინგლისის მეფეს. მაგრამ წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ სამწუხარო მომენტით ისარგებლოთ და კენჭის უყრელად დეპეშა გაუგზავნოთ ინგლისის პარლამენტს და ამით სახელმწიფო სათათბიროს კომპეტენცია გავაფართოვოთ.

სათათბირომ ხმის უმეტესობით დაითხოვა პურიშკევიჩი სამის სხდომიდან. წინააღმდეგნი იყვნენ მემარჯვენენი და რამდენიმე ნაციონალისტი.

სამუშაო დღე სავაჭრო დაწესებულებებში.

მომხსენებელმა ბარონმა კრიუდენერ-სტრუვემ გააცნო სათათბიროს მუშათა საკითხის კომისიის აზრი მთავრობის კანონ-პროექტის შესახებ. ეს კანონ-პროექტი შეეხება სამუშაო დღესასწაულების სავაჭრო დაწესებას. ამ კანონ-პროექტით, სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა 12 საათი უნდა სწარმოებდეს ორი საათის დასვენებით. საზოგადოებრივ თვითმართველობებს კანონ-პროექტით შეუძლიანთ, ადგილობრივ ინტერესების თანახმად, ამ ნორმას დაუკლონ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ სამუშაო დღე 9 საათზე ნაკლები არ იყოს. კომისიის აზრით, ეს წესები იმათზედაც უნდა გავრცელდეს, ვინც ქუჩებსა და მოედნებზე ფეხზე ვაჭრობენ. კვირაუქმეებში ვაჭრობა ხუთ საათს არ უნდა აღემატებოდეს.

ვაჭრობის მინისტრმა სთქვა, რომ სათათბიროს კომისიამ ბევრი ცვლილება შეიტანა კანონ-პროექტში, თუმცა ზოგიერთ ცვლილებისა მთავრობა წინააღმდეგი არ არისო. მინისტრის სიტყვით, ეს კანონ-პროექტი არ შეიცავს აბსოლუტურ ნორმებს და იგი ადგილობრივ თვითმმართველობებს თავისუფლად მოქმედების ნებას აძლევს. ასეთი თვისება კანონ-პროექტისა საჭიროა, მაგალითად, კვირა-უქმეობით ვაჭრობის დაწესების საქმეში. მინისტრმა გადაჭრილი უარი სთქვა იმაზედაც, რომ მსურველთ ნება მიეცეთ კვირის მაგიერ რომელი დღეც უნდათ, ის იდღესასწაულონ. არც იმის თანახმა იყო იგი, რომ „ინოროდცების“ დღესასწაულების უქმობა სავალდებულო იყოს „ინოროდცებისათვის“.

ამ კანონ-პროექტის გამო სიტყვის წარმოსათქმელად ჩაეწერა 28 კაცი.

ბარ. ტიზენგაუზენმა (ოქტ.) სთქვა, რომ კანონ-პროექტს აზრადა აქვს მოარიგოს ინტერესები სამ სოციალურ ჯგუფისა—კაპიტალისა და შრომის წარმომადგენელთა და მომხმარებელთაო. ორატორი შეეხო სხვა სახელმწიფოების მუშათა კანონმდებლობას. დაწვრილებით გაარჩია საფუძვლები ახალ პროექტისა და ურჩია სათათბიროს, მიიღოს იგი.

პრედკალნის (ს.-დემ.) აზრით, კანონ-პროექტი არა თუ აუმჯობესებს, ზოგიერთ შემთხვევაში აფუჭებს კიდეც იმ დებულებას, რომელიც 1906 წლის 15 ნოემბრამდე მოქმედებდა. ორატორის სიტყვით, სამუშაო დღის მაქსიმუმად სავაჭრო დაწებულებებში უნდა შემოღებულ იქმნას რვა საათი. ადგილობრივ მცხოვრებთ უფლება უნდა მიეცეთ, თვითონ ამოირჩიონ კვირაში სადღესასწაულო დღე. არ არსდება არავითარი კანტროლი, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს, რამდენად იქნება შესრულებული კანონიო. დასასრულ, ორატორმა სთქვა, სავაჭრო მოსამსახურეებს უფლებას კი არ აძლევენ, არომევენო.

გრაფმა ბობრინსკი 1-მა წინადადება შეიტანა, კანონ-პროექტი უარ-ჰყოს სათათბირომ და კომისიას ახალის შედგენა დაავალოს; ამ ახალ კანონ-პროექტს საფუძვლად ვაჭრობის თავისუფლების შეზღუდვა კი არ უნდა დაედოს, არამედ პიროვნების შრომის მოწეს-რიგებაო.

გაიდაროვმა (მაჰმად. ფრ.) სთქვა, რუსეთის იმპერიაში 20 მილ. მაჰმადიანი სცხოვრობს, რომელთაც ძალას ატანენ, უსათუოდ ქრისტიანების დღესასწაული კვირა, იუქმეთო. ორატორის აზრით, მაჰმადიანებს ნება უნდა მიეცეთ კვირის მაგიერ პარასკევი იუქმონ, როგორც ამას ისლამი მოითხოვსო.

შეპკინმა (კადეტი) აღნიშნა, რომ ამ კანონ-პროექტის განხილვით სათათბირო სრულიადაც არ იწყებს მუშათა საკითხის მოწესრიგებას. პირიქით, სათათბირო გზასაც კი არ აძლევს იმ საქმეებს, რომელიც მუშათა კანონმდებლობას შეეხება. ამას გარდა, სათათბიროს კომისიებმა გაკეთების მაგიერ, უფრო გააფუჭეს მთავრობის კანონ-პროექტი. ორატორის აზრით სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ რვა საათის სამუშაო დღეს დაწესდეს. ეს სრულებით არ გამოიწვევს ეკონომიურ დაქვეითებასაო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აპრილი.

ინგლისის მეფის გარდაცვალება

ლონდონი. მეფე გეორგ მეხუთემ საფრანგეთის პრეზიდენტს დეპეშა გაუგზავნა და მადლობა გადაუხადა სამგლოვიარო დეპეშის გაგზავნისათვის. დეპეშაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის დაუფასებელი მეგობრობა და სიმპატია შეძლებას მისცემენ ინგლისს გადაიტანოს განუსაზღვრელი მწუხარებაო. ასეთივე დეპეშით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს პიშონს. მეფის დაკრძალვა მოხდება 7 მაისს.

ლონდონი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მეფის დაკრძალვა მოხდება ვინდზორში, 7 მაისს.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ დედოფალი მერის სახელწოდებას მიიღებსო.

ბერლინი. მეფე ედუარდ მეშვიდის დაკრძალვას დაესწრობა იმპერატორი ვილჰელმი.

კოპენჰაგენი. დღეს დანიის მეფე ნიცციდან ლონდონში მიემგზავრება. მეფის ოჯახობა კოპენჰაგენში დაბრუნდება.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს იმ დეპუტატებმა, რომლებმაც შარშან ინგლისი დაათვალიერეს, დედოფალ ალექსანდრას შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „ჩვენ, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რომელნიც შარშან ივნისში გაგვაბედნიერეთ და მიგვიღეთ, გვსურს გაუწყოთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი ღრმა მწუხარება და გულწრფელი თანაგრძნობა უეცრივ მოვლენილ საშინელ მწუხარებაში“. დეპეშაზე ხელი უწერიათ: ხომიაკოვს, გუჩკოვს, მილიუკოვს, ზვეგინცევს და სხვას.

სოფია. მეფე ედუარდის დაკრძალვას დაესწრობიან მეფე ფერდინანდის წარმომადგენელი გრაფი ბურბულონი, მთავრობის—დიმიტროვი, ჯარის გენერალი კაზუმოვი. ედუარდის გარდაცვალების გამო სასახლეში სამი თვით გლოვა გამოაცხადეს.

ლონდონი. სანდჯემის სასახლის ეზოში დიდის ამბით აუწყეს ხალხს მეფე გეორგ მეხუთის ტახტზე ასვლა. ახლო-მახლო ქუჩები ჯარით იყო სავსე. სასახლის სახურავი და აივნები გაჭედილი იყო ხალხით. როდესაც გეროლდმა ამცნო ხალხს მეფე ედუარ-

დის გარდაცვალება, ხალხმა ქუდები მოიხადა. გეროლდის სიტყვებზედ „გაუმარჯოს მეფესო“, ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, იგრიალა, „გაუმარჯოს მეფესო“. ორკესტრმა დაუკრა ეროვნული ჰიმნი. გაისროლეს ზარბაზნები.

მეფის ტახტზედ ასვლის გამო ყველა სასწავლებლები დაკეტეს. სამოსამართლო პალატებში მოსამართლეებმა ფიცი მიიღეს. მომრიგებელ სასამართლოებში განთავისუფლეს სასჯელისაგან მცირე დამნაშავეები. მთელი ინგლისი აღტაცებით შეხვდა მეფე გეორგის ტახტზედ ასვლას. ნაშუადღევს დეპუტატთა პალატამ სხდომა გამართა. დეპუტატები სამგლოვიარო ნიშნებით მოვიდნენ და მთელ სხდომაზედ ქუდ მოხდილები ისხდნენ. თავმჯდომარე არ დასწრებია სხდომას. თავმჯდომარის ამხანაგმა და დეპუტატებმა ფიცი მიიღეს.

ვენა. ამ დღეებში ლონდონში წავა და მეფე ედუარდის გარდაცვალებას დაესწრობა მეფის წარმომადგენელი ერცგერცოგი ფრანც-ფერდინანდი.

კაირი. რედიკი თავის წარმომადგენლად ლონდონში გზავნის პრინც მაჰმედ-ალის. მთელი ეგვიპტეს პრესსა ქება-დიდებით იხსენიებს განსვენებულ მეფეს.

არჩევნები საფრანგეთში.

პარიზი. ხელმეორედ კენჭის ყრას საგრძნობი ცვლილება არ მოუხდენია. სოციალისტებმა და ზომიერმა რესპუბლიკანელებმა რამდენიმე ალაგი წაართვეს რადიკალებს. ხელმეორედ კენჭი უყარეს 299 კანდიდატს. აქედან ჯერ-ჯერობით გამოირკვა 199 კენჭის ყრის შედეგი. რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა დაჰკარგეს 14, ლიბერალებმა 5, ნაციონალისტებმა 2 ადგილი; შეერთებულმა სოციალისტებმა მოიგეს 14, პროგრესისტებმა 7 ადგილი. აირჩიეს მინისტრი მილერანი, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი ბრისსონი და ჟორესი. გააშავეს დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად ნამყოფი დუმერი და ვიცე-პრეზიდენტი დიუბიერი.

პარიზი. პრესსა ეხება არჩევნებს და სწერს, რომ მართალია პალატაში ბევრი ახალი დეპუტატი აირჩიეს, მაგრამ პოლიტიკურ ძალთა განწყობილება დეპუტატთა პალატაში არ შეცვლილა. საფრანგეთი რესპუბლიკანურ წესწყობილების მომხრე აღმოჩნდა და მოითხოვა საარჩევნო სისტემის შეცვლა.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში აირჩიეს 591 დეპუტატი. ასარჩევია კიდევ 6 დეპუტატი. არჩეულია: 248 რადიკალი, 74 რადიკალ-სოციალისტი, 29 შეერთებული სოციალისტი, 93 დამოუკიდებელი სოციალისტი, 59 მემარცხენე რესპუბლიკანელი, 71 პროგრესისტი და 17 რეაქციონერი. რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა დაჰკარგეს 21, რეაქციონერებმა 9 ადგილი. შეერთებულმა სოციალისტებმა მოიგეს 19, მემარცხენე რესპუბლიკანელებმა 11 ადგილი.

აჯანყება ალბანეთში

სალონიკი. სამხედრო მინისტრის მაჰმედ-შევკეთ-ფაშის სიტყვით, ალბანეთში არც ისე გაჭირვებული მდგომარეობაა, როგორც გაზეთები სწერენ. ალბანეთში გაგზავნილი 40,000 ჯარის-კაცი სრულიად საკმაოა წესიერების აღსადგენად. თუ საჭირო იქნება მინისტრი ყველა კორპუსების მობილიზაციას მოახდენს. მინისტრი სალონიკში ჯარის დასათვალიერებლად წასულა. ამ ქამად მინისტრი სცდილობს მიიღოს ზომები, რომ ოსმალეთს გარეშე მტერი არ დაეცეს და თუ ოსმალეთს გარეშე მტერი დაეცა, მინისტრს იმედი აქვს, რომ ალბანელები დახმარებას გაუწევენ. დღეს მინისტრი უსკიუბში წავიდა.

ფინლიანდია

პეტერბურგი. 27 აპრილს სახელმწიფო სათათბიროს კომისია შეუდგება საერთო საიმპერიო კანონმდებლობის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას.

ჰელსინგფორსი. ტამერფორსის სავაჭრო საზოგადოებამ ადრესი გაუგზავნა ნიუკესტლის სავაჭრო პალატას და მადლობა გადაუხადა ფინლიანდიის უფლებების დაცვისათვის, რაიც შეძლებას მისცემს ფინლიანდიის გარკვეცებულის ძალით დაიცვას თავისი თავისუფლება, კულტურული და ეროვნული დამოუკიდებლობა.

აფეთქება

ოტტავა. გულლში, დინამიტის ქარხანაში, აფეთქება მოხდა. მოკვდა ოცი, დაშავდა 30 კაცი. ქარხნის ახლო-მახლო დაინგრა რამდენიმე სახლი. ნანგრევებ ქვეშ მცხოვრებლების ნაწილი მოჰყვა. ოტტავაში, გულლიდან რამდენიმე ვერსის მანძილზედ, ფანჯრის შუშები ჩაიმტვრა.

ოტტავა. გამოირკვა, რომ გულლში, დინამიტის ქარხანაში, აფეთქებისგან მომკვდარა 9, დაშავებულა 40 კაცი.

კონსტიტუცია ჩინეთში

პეკინი. გამოქვეყნდა ბრძანება, რომლითაც მეცხრე მთვარის პირველ რიცხვებში მოიწვევენ სათათბირო პალატას ტზიშენგიანს. ეს პალატა საფუძვლად დაედება მომავალ პარლამენტს. სათათბირო პალატაში 90 წევრია, უმრავლესობა სამეფო გვარეულობის პირებია, არისტოკრატიის და მოხელეების წარმომადგენლნი.

არჩევნები ესპანიაში

მადრიდი. 32 პროვინციაში უკვე ამოირჩიეს დეპუტატთა პალატის წევრები. აირჩიეს 99 ლიბერალი, 35 კონსერვატორი, 35 რესპუბლიკანელი, 1 სოციალისტი და 6 კარლისტი.

ჰაერში-ფრენა.

პეტერბურგი. ჰაეროპლანების გაჯიბრებაში. პირველად გაფრინდა მორანი. მორანმა იფრინა სულ 7 წუთი და 5 წამი ოფიციალურად მას ჩაუთვალეს 5 წუთი და 30 წამი. შემდეგ გაფრინდა რუსი ავიატორი პოპოვი, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ჰაეროპლარი მიწაზე დაეცა. ჰაეროპლანი გაფუჭდა, პოპოვი გადარჩა. გერმანელ ვანცირსის ავიატორის ჰაეროპლანი გაფრენის დროს დაეჯახა ედმონდის ბიპლანს. ორთავე ჰაეროპლანები დაშავდნენ. მოსალოდნელია რომ ვანცირი ამ კვირაში ვეღარ გაფრინდეს. ამის შემდეგ გაფრინდა ხრისტიანსი, რომელმაც იფრინა 9 წუთი და 40 წამი. ხრისტიანმა სამჯერ შემოუარა აეროდრომს და მიიღო ყოველ დღიურად დანიშნულ სიჩქარის პრიზი. მანვე მიიღო ის პრიზი, რომელიც დანიშნული იყო იმისთვის, ვინც ბევრ-ხანს იფრენდა. უკანასკნელად გაფრინდა მორანი, მან იფრინა სულ 3 წუთი და 54 წამი და მიიღო მეორე პრიზი. ჩამოვიდა ბარონესსა დელასში. მონაწილეობას მიიღებს ხუთშაბათიდან.

საზღვარ-გარედ.

ვენა იმპერატორმა ფრანც-იოსებმა გადასწყვიტა მომავალ თვის ბოლო რიცხვებში დაათვალიეროს ბოსნია და ჰერცოგოვინა. იმპერატორს თან ახლდებიან საერთო საიმპერიო ყველა მინისტრები და ორთავე მინისტრ პრეზიდენტები.

რუსეთი

სტავროპოლი. ღამე სულ ერთიანად დაიწვა პარალოვის საზაფხულო თეატრი. თეატრი აღებული ჰქონდა სუხოდოლსკის ტრუპპას. დაიწვა ბუტაფორია, ტანსაცმელი და წიგნთა-საცავი. ზარალი დიდია.

მოსკოვი. საქონლის სადგურზედ ეკატერინებურგიდან მოსულ ყუთში ნახეს 35 წლის კაცის გვამი. განსვენებულს კისერზედ თოკი ჰქონდა მობმული.

ვლადივოსტოკი. ადგილობრივ სატუსაღოში ტუსაღებს ხვრელი გაეკეთებინათ. ხვრელის აღმოჩენის დროს ტუსაღმა ზედამხედველი მოჰკლა. ციხის უფროსის თანაშემწემ დასჭრა ტუსაღი.

კიდევ მიწა-წყლის სივიწროვის გამო

ხშირად შეჰხვდებით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ცნობებს ქართველთა შევიწროების შესახებ უმიწა-წყლობისა და უსახსრობის გამო. მაგრამ ვერც სხვა და სხვა კანცელარიებში შეკრებილი ცნობები, ვერც ათასში ერთხელ მოწოდებული კორესპონდენციები ვერ გვისურათებენ იმ მდგომარეობას, რასაც განიცდიან მიწის სივიწროვის გამო ქუთაისის გუბერნიის მთა ადგილის მცხოვრებნი. ნამეტნავად გაჭირვებულნი არიან ამ მხრით რაჭის და სვანეთის მცხოვრებნი. თუ სხვა ადგილებში ხალხის დამშევა მაგრე რიგად არ არის ხშირი მოვლენა, აქ შიმშილობა მუდმივი სენია. იშვიათია, ძლიერ იშვიათი ისეთი გლეხი რაჭა-სვანეთში, რომ მხოლოდ თავის ადგილის მოსავლით იკვებავდეს თავს, ამიტომაც ისინი იძულებულნი არიან ჭამაში საშინელი ეკონომია გასწიონ, ესე იგი ცოტა სჭამონ... სვანეთში, მაგალითად, კაცის თავზე გადაწყვეტილია დღეში ერთი პატარა გამომცხვარი კოკორი. ეს კოკორი, ნარევია ქერისა, სიმინდისა, პურისა თუ სხვა მცენარისა. ხშირად მარტო ცერცვის ან ლობიოს მარცვლით ირჩენენ თავს ან ურევენ ქერს ფეტვს, პურს, სიმინდს, ტყის გამხმარ მსხლის ფქვილს და ისე „მიდიან იოლად“. ზაფხულში-კი, ვისაც საკმაო საქონელი ჰყავს, მაწვნით და ყველით უპუროდ ინახავს თავს. ერთის სიტყვით, წლიდან წლობამდის სვანები შიმშილში არიან. ხშირად შეჰხვდებით როგორც სვანეთში, ისე რაჭაშიაც, რომ სამოცი ვერსის მანძილიდან ზურგზე მოკიდებული მიაქვთ სიმინდი (იმერეთიდან, კავკავიდან, სამეგრელოდან).

რაჭაშიაც საშინელი სივიწროვეა ადგილისა. მაგრამ რაჭველები უფრო კულტურული ხალხია და ამიტომ ისინი რაჭის გარეთ შოულობენ სამუშაოს და იმითი ივსებენ დანაკლისს. როგორც ვიცით, რაჭველებს არა თუ ტფილისს-ქუთაისში და კავკასიის სხვა ქალაქებში შეჰხვდებით, თვით ციმბირში, ხარბინში და იმის მიდამოებშიაც ბლომად ნახავთ რაჭიდან ლუკმის საშოვნელად გადახვეწილებს. კასპის ზღვის იქითა მხარესაც მეტად ბევრნი არიან. რაჭა-სვანეთში იშვიათად შეჰხვდებით პატარა ადგილსაც კი, რომ დამუშავებული არ იყოს. ეს მოვლენა ყველამ კარგად იცის და ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

დღემდე რაჭა-სვანეთის გლეხებს საშინელ ცოდვად მიაჩნდათ სამშობლო მხრის დატოვება და მართლაც „ბარათ, რომ მიეცათ სიმდიდრე და ქონებაც უთვალავია“, მაინც გული სამშობლო მხრისაკენ მიერჩოდათ. სვანები დღესაც კი ვერ შეჰრიგებიან იმ აზრს, რომ სამშობლო კუთხის მოშორება შეიძლება, და თვით სიკვდილის შემდეგაც არა სურთ სამშობლოს გარედ დარჩენა. ამას მოწმობს მათი ჩვეულება: მკვდარს სვანები არამცა და არამც არ დასტოვებენ სხვაგან და როცა ეს შეუძლებელია, მკვდრის მაგივრად მამალს ასაფლავებენ სამშობლოში.

მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვს და მთის მკვიდრნიც იძულებულნი ხდებიან ადრე თუ ვვიან მაინც გამოეთხოვნენ თავიანთ კუთხეს. საშინელმა მიწის სივიწროვემ რაჭიდან სულ განდევნა ვაჟკაცნი. ესენი დროებითაც კი ვეღარ ახერხებენ სახლში დაბრუნებას, რადგან ხარჯი მეტად სძალავთ, ამიტომ იძულებულნი ხდებიან სამუდამოდ გამოეთხოვნენ რაჭას. სვანებს გადასასახლებლად გზაც კი არა აქვთ, ისე არიან მთებში ჩაკეტილნი. ჩრდილოეთით, ჩერქეზ-ოსეთისაკენ, კავკასიონს ვერ გადაუვლიან, ხოლო აფხაზეთისაკენ მთავრობა არ უშვებს, რადგან თავისუფალს ადგილებს რუსებს აძლევს და სვანებს ეხლაც არ აკარებს. ამიტომ სვანები იძულებულნი ხდებიან იქვე სვანეთის და სამეგრელოს მთების მიდამოებში, სადმე კლდეებში შეეჩხირნენ, გაჩეხონ ტყეები და კვლავ მშიერი სიცოცხლე განაგრძონ. ამნაირს პირობებში მყოფი სვანები არც სრულებით ისპობიან და არც მრავლდებიან, ისე მომაკვდავს სულს ოდნავ იბრუნებენ.

რაჭველებს კი, სვანებთან შედარებით, გადასახლებლად გზები ხსნილი აქვთ, ნამეტნავად ზაფხულობით. იქ კავკასიონის ქედზე მისდევს ეგრედ წოდებული ოსეთის სამხედრო გზა. ეს გზა მარჯვეა კავკავისაკენ წასასვლელად. ნამეტნავად ზემო რაჭიდან კავკავში უმალ ჩავა კაცი, ვიდრე ქუთაისში. ამ უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში საშინელი ლტოლვილებაა რაჭველებს შორის ჩრდილოეთში გადასახლებისა. უფრო იტყუებს და ხიბლავს რაჭველს ჩრდილოეთში გადასახლება იმიტომ, რომ გადასახლებულისგან ათასში ერთს ნახავს კარგს პირობებში მყოფს და ეს ამბავი ელვასავით ედება მთელს რაჭას. თუ ასეთი ბედნიერი გადასახლებული როგორმე რაჭაშიაც მოხვდა ან სალოცავად ან სხვა რამისთვის, მაშინ იგი ნათელი მაგალითი ხდება და ერთრად უფრო აძლიერებს გადასახლების სურვილს. ამ მაგალითების მნახველი, შინ გაჭირვებისაგან ილაჯ გაწყვეტილი რაჭველი, თავზე ხელს იღებს და სამუდამოდ ეთხოვება სამშობლო მხარეს: ჰყიდის რაც რამე აბადია და მიეჩქარება უცხო ქვეყნისაგან ბედის საცდელად. მაგრამ აშორის ყველას ის უბედურება, რაც მას ემართება! სანამ გაყიდულ სახლკარის და სარჩო-საბადებლის ფული ხელთა აქვს უცხო მხარეში, კიდევ არა უშავსრა, ხოლო როცა მოწყობის ცდასა და მოლოდინში ფული ელევა, იგი ნამდვილ პროლეტარად ხდება. უცხო ქვეყანაში უმეზობლოდ, უმწეოდ, უპატრონოდ, შეუსაბამო პირობებში ჩავარდნილი იგი ან სრულებით იღუპება და ან როგორმე უკან აბრუნდება მეტად დაქვეითებული. უმეტეს ნაწილად დაბრუნებული რომელსამე

აქაც აღსდგა

ის დრო იყო, როდესაც ციხეებსა და სატუსაღოებშიაც ცოტაოდენი თავისუფლება ტრიალებდა. პოლიტიკური და აგრედ წოდებული „უგოლოვნები“ ერთი-ერთმანეთში დაუშლელად დავდიოდით. „სეირნობაც“ საერთოდ გვქონდა. ბევრი რამ შედეგი მოსდევდა ამგვარ ერთობას. დიდი და ნაყოფიერი გავლენა, მაგალითად, იმ სატუსაღოში, რომელზედაც მოგახსენებთ ეხლა, ჰქონდათ პოლიტიკურებს, და ბევრი რამ სისაძაგლე, გარყვნილობა და არა-სასიამოვნო საქციელი მოისპო ტუსაღთა შორის მათის მეცადინეობით. ერთი-ერთმანეთში ქურდობა, წაგლეჯა, ჩხუბი, ცემა-ტყეპა, ზოგიერთ ამხანაგის საერთოდ ამოჩემება, მისი ტანჯვა და სიცოცხლის გამწარება, ხშირად მცირე-წლოვან დაპატიმრებულის წამება და სხვა ამგვარი რამეები პოლიტიკურების წყალობით, თუ სრულიად არა, შესამჩნევად მაინც გაიშვიათდა. თვით „უგოლოვნებშიაც“ თან და თან გაიღვიძა ცნობის-მოყვარეობამ, წიგნებს მიატანეს ხელი, ბევრი წერა-კითხვის შესწავლას შეუდგა და ამრიგად იმ ბნელ დახშულ სამარეს, რასაც საპყრობილეს უწოდებენ, ცოტაოდენი სინათლე შემოადგა. „სეირნობის“ დროს ხშირად დაინახავდით ეზოში ტუსაღების პატარა-პატარა ჯგუფებს. ორ-სამ პოლიტიკურს მოჰხვეოდნენ რამდენიმე სისხლის სამართლის წესით დასჯილნი. ზოგჯერ წიგნს ან გაზეთს კითხულობდნენ, ზოგჯერ ბაასობდნენ, ზოგჯერ პოლიტიკური რაღაცას უხსნიდა, ასწავლიდა. აქ ერთ ჯგუფს რაღაც სასაცილოს უკითხავდა პოლიტიკური. ხარხარი და ხმა მაღლა სიცილი მოისმოდა იქიდან.

მეტადრე ერთი „უგოლოვნი“, შავთვალწარბიანი, მოპარსული თავით ისე გულიანად იცინოდა, რომ ძალა-უნებურად ყურადღებას აქცევდი. მართალია, მისი სახე არა სასიამოვნო იყო, გადმოჭყეტილი თვალები, ვეებერთელა წამოშვერილი ყურები, ვიწრო და დაბალი შუბლი, მეტის მეტად სქელი, თითქმის გაშავებული ტუჩები, ჭიანაჭამი, შორი-შორს მსხდომი კბილები და ამასთან თვით სახე სპილენძის ფერი, ხრინწიანი ხმა, წვერი „ყარაჩოღულად“ მოპარსული,—აი ასეთი გახლდათ ეს ჯიბგირების და წვრილ ქურდების „ლიდერი“ და მოთავე „ყორანა“. არა ერთი ჯიბე დაუცალიერებია, არა ერთი სახლი გაუქურდავს, არა ერთხელ გადუგდია „პორტმანი“, არა ერთი უვიცი სოფლელი გლეხი მოუტყუებია, არა ერთხელ გასულა და ისევ დაბრუნებულა საპყრობილეში. რომელი ქურდი, რომელი ჯიბგირი არ იცნობს ყორანას. პოლიციელი გინდა, ზედამხედველი მოსამართლე—ყველას გაუგონია ყორანას სახელი და უნახავს კიდეც. საპყრობილეში ხომ ვინ არ იცნობდა ყორანას. ერთის სიტყვით, ყორანას დამსახურებული სახელი აქვს. გარყვნილს, გათახსირებულს და სულით დაცემულს ყორანას ჯიბგირებში და ქურდებში დიდი პატივი ჰქონდა, ვინაიდან არა ყოფილა შემთხვევა, რომ მას ამხანაგისთვის როდისმე ეღალატოს ან ამხანაგი მოეტყუებინოს. რასაც კი „შოულობდა“, ყოველ „ნამუშევარს“ ძმურად უყოფდა ამხანაგებს. თითონ კი ხშირად რამდენიმე დღე მშიერ-მწყურვალს გაუტარებია.

მისი ავტორიტეტი ქურდებს შორის შეურყეველი იყო. „ყორანამ აგრე სთქვა“, „ყორანამ იცის“, „აბა ყორანასა ვკითხოთ“, — ეს გახლდათ ყველა ქურდისთვის უკანასკნელი დასამტკიცებელი საბუთი. ზედ მიწევნით იცოდა ყორანამ სისხლით სამართლის კანონები, პრაქტიკულად ჰქონდა შესწავლილი და ხშირადაც შესაფერ რჩევას აძლევდა ამხანაგებს.

გაცნობის პირველ ხანებში ყორანამ ჩემზე არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ თან და თან შევეჩვიე, უფრო ახლო გავიცანი და მისმა მოსწრებულმა ლაპარაკმა, გულახდილობამ, ამხანაგებთან ქცევამ, რომელთაც საპყრობილეშიაც-კი ხშირად ეხმარებოდა, გულს უმაგრებდა, ამხიარულებდა, ჩემი შეხედულობა ცოტაოდნად შესცვალა. ამასთან მასთან უფრო დაახლოვებულმა ამხანაგებმა მიამბეს იმის ცხოვრებიდან ერთი შემთხვევა, რომელმაც ყორანა სულ სხვა კაცად მაჩვენა.

აღდგომის წინა დღეები იყო თუ მე მაშინ. შუა ბაზარში დიდძალი ხალხი ტრიალებდა. სოფლელებს ჩამოეტანათ ბევრი რამ გასასყიდად: ბატი, ინდოური, ქათამი, კვერცხი და სხვა. რასაკვირველია, ყორანაც რამდენიმე თავის ამხანაგით აქვე დათარეშობდა, რადგან კაი „სანადირო“ დრო იყო.

„ის იყო,—მიამბობდა ყორანას ერთი ამხანაგი,—დავდეგით სემინარიის ქვემოდ რო ტრამვაის ვაგონი დგება. აქ ბევრი ხალხი ირევა და ჩვენთვის მეტად მარჯვე იყო. უცბად პუშკინის ბაღის მხრიდან ერთი წივილ-კივილი მოგვესმა. გავიქეცით იქით. ვნახოთ, ზედ სემინარიის კარებთან ხალხი მოჰხვევია ერთ სოფლელ დედაკაცს. ეს საცოდავი იცემს თავპირში, ღრიალებს საშინელის ხმით რა ამბავია? ერთმა იქ მდგომმა გვიამბო, რომ ამ დედაკაცს სოფლიდან ცოტა რამ ჩამოუტანია გასასყიდად, თანაც ხუთი თუმანი ფულად წამოუღია. თურმე ქალს ათხოვებს და კამოდი და შკაფი უნდა ეყიდნა სამზითვოდ. ვიღაცას ამოუცლია ამ საცოდავისთვის ეს ხუთი თუმანი, და აი ამისთვის იცემდა თავპირში. რათქმა უნდა, ვინმე ჩვენგანი იზამდა. რა გაიგონა ეს ყორანამ, მივიდა დედაკაცთან. „დედიო, ნუ სტირი, ნუ იკლამ თავსაო. ღმერთი მოწყალეაო. შენ აქ ცოტა ხანს მომიცადეო“... სთქვა ეს და გაჰკურცხლა ყორანამ ზევითკენ. ჩვენც თან გამოუდექით, მაგრამ გაქცეულ ყორანას განა დაეწევა ვინმე? დავბრუნდით ისევ და ვსთქვით, მოუცადოთ ყორანასაო. არ გავიდა ბევრი ხანი და ყორანაც გამოჩნდა. დედაკაცს ხალხი თითქმის სრულიად მოშორებოდა, მარტო იჯდა საწყალი, აღარა კიოდა, მხოლოდ ცრემლები ჩამოსდიოდა. მივიდა ყორანა დედაკაცთან: „დედი, მაიტა ხელიო. აჰა, აი რაც მოვაგროვე, შენი იყოს. თუ ხუთ თუმანზე მეტი არა, ნაკლებიც არ არის. წაიღე და წადი ჩქარა, თორემ მაგასაც ამოგაცლიანო“. დედაკაცი სიხარულისაგან დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. მერე ფული გადასთვალა და ექვს თუმან ნახევარი აღმოჩნდა. „შვილო, აქ მეტია, მე მარტო ხუთი თუმანი დავკარგე,—უთხრა მან ყორანას. „ეგეც შენი ბედი ყოფილა, არა უშავსრა, ეგ მეტი შენ ქალს პირისანახავათ წაუღე ჩემს მაგივრად. აჰა ადე ახლა, ჩქარა წადი, ეგეც არ დაგეკარგოს“. ადგა დედაკაცი გახარებული, გასწია და თან გვლოცავდა, თან პირჯვარს იწერდა. ჩვენც შორიდან პოლიციელს თვალი მოვკარით, ჩვენსკენ მოდიოდა, და სწრაფად მოვკურცხლეთ ქვეითკენ. ჯერ კარგა ხანს ჩუმად იყო ყორანა, მერე წამოიძახა: „დახე, ერთი რა იღბალი ჰქონია იმ დედაკაცს... კაცო, რო გავიქეცი, სწორედ ქარვასლასთან ერთ გაბერილს შლაპიანს მივაწყდი. ჩაუყავი ჯიბეში ხელი და რაც კი იყო, ხელად „ამოუშვი“, და დახე ერთი ექვსი თუმანი არა ყოფილა! ერთი რა რიგად გაუხარდა და“... მასაქეთია, დაუმატა მოამბემ, ყორანას თავი რო მოსჭრა, რაც გინდა გაჭირვებაში იყოს, აღდგომა დღეს „სამუშაოდ“ არ გავა“...

ასეთი გახლდათ ყორანა.—

* *

დიდი შაბათი იყო, აღდგომის წინა დღე. ის იყო საღამოს „სეირნობაზე“ გამოგვიშვეს და როცა მე და ჩემი ერთი ამხანაგი ჩავედით ეზოში, მაშინათვე ერთი ათიოდე ტუსაღი, ბორკილების ჩხარაჩხურით მოგვეგება. ესენი გახლდნენ „მძიმე დანაშაულნი“, რომელთაც ხანგრძლივი კატორგა ჰქონდათ გადაწყვეტილი. სულ „განთქმული“ ყაჩაღები იყვნენ. ზოგს მათგანს ჩამოხრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ უვადო კატორგად შეეცვალათ. ზოგს კი ოცი და თხუთმეტი წლის კატორგა მიეღოთ. სწორედ მოგახსენოთ, შეუჩვეველ კაცს მარტო მათი შეხედულობა შეაშინებდა, და არავის უსურვებდი რომელსამე ამათგანს ვიწრო ორღობეში შეჰხვედროდა. ამათში ერთი-ხუთიოდე თათარი ერია, მაგრამ ქართული კარგად ესმოდათ, და ზოგნი კითხულობდნენ კიდეც. ეს მესამე დღე იყო, რაც მე და ჩემი ამხანაგი რიგით უკითხავდით მათ ალ. ყაზბეგის „მოძღვარს“. მეტად აინტერესებდათ ეს მოთხრობა და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე. როგორც გაიღებოდა კარები და სასეირნოდ გამოვდიოდით, მაშინათვე მოგვცვივდებოდნენ და კითხვის გაგრძელებას თხოულობდნენ. ეხლაც ასე იყო. დავსხედით ეზოს ერთ კუთხეში და ამხანაგმა გადაშალა წიგნი. ჩვენს გარშემო ისხდნენ და იდგნენ „ყაჩაღები“. ყველაზე უკან იდგა ერთი მხარ-ბეჭიანი წამოსადეგი, ხშირ შავ-ხუჭუჭიანი თმით, ესე ოც-და-რვა, ათის წლის ტუღი. ეს გახლდათ განთქმული ყაჩაღი „ქაჩალა“, ორჯელ კატორგიდან გამოქცეული. ახლა მესამედ დაეჭირათ, სამხედრო სასამართლოს მისთვის დაღრჩობა გადაეწყვიტა, მაგრამ მერე უვადო კატორგად შეეცვალათ. არავინ იცოდა, სადაური იყო ქაჩალა, ვიცოდით მარტო, რომ ქართველი იყო. თავათ ქაჩალას არ უყვარდა ლაპარაკი და გამოკითხვა ამაზე. მაგრამ მისი „მოღვაწეობა“, მისი მოქმედებანი ყველა ტუსაღმა კარგად იცოდა. არა ერთი ადამიანი გაუსტუმრებია საიქიოს ქაჩალას. მთელი ოჯახების დიდიან პატარიანად ამოჟლეტა ქაჩალას არაფრად მიაჩნდა. მთელი ათი წელიწადი ყაჩაღობდა ქაჩალა და ვაი იმ მხარეს, სადაც იგი დროებით მაინც გაჩნდებოდა. შეუბრალებელი, თავზე ხელ აღებული, ისე აჰკაფავდა კაცს ქაჩალა, თითქოს ძროხის ხორცსა ჰკეფავსო. ვაი იმ სოფელს, რომელიც გაჰბედავდა და პოლიციას დაადევნებდა ქაჩალას. პოლიცია ვერ იჭერდა, და სოფელს კი ამის შემდეგ ვერც ტყეში და ვერც მინდორში ფეხი ვეღარ გაედგმებოდა. რამდენიმე გადამწვარი საბძელ-ბოსელი, ხშირად კაციც მოკლული, — აი რას გამორჩებოდა ხოლმე სოფელი. ქაჩალას საერთოდ ტუსაღებში მეტად დიდი გავლენა ჰქონდა. იქ,

ქალაქს აფარებს თავს ჩვენშივე და აუწერელი გაჭირვებაში ვარდება.

ამ სამი წლის წინად გადასახლდა ს--დან ერთი გლეხი, ა—ნა, ბე—ძე თან წაიყვანა ცოლშვილი, ძმა, რძალი და დები. გავიდა რამდენიმე ხანი და მთელი ოჯახიდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ გლეხი ა—ნა, ყველანი იქ დაიხოცნენ (მოუკვდა ცოლი, ორი შვილი, ძმა, რძალი და დები). მეორე სოფლიდან გადასახლდა მ—ა ქ—ძე. დაჰყო ერთ წელიწადს და უკანვე დაბრუნდა საშინლად გაღატაკებული. ეს კაცი ეხლა ნაძალადევშია საცოდავ მდგომარეობაში. სოფელში დაბრუნებულნი ავად თუ კარგად კიდევ ალონლიალებენ ცხოვრებას: ნათესავები იკედლებენ და ლუკმას უზიარებენ. მაგრამ ვაი იმათი ბრალი, რომელნიც ქალაქებში მიდიან: უსახლ-კარონი, სხვისი ხელის შემყურებელნი, მოწყალების მოლოდინში არიან.

რასაკვირველია, ამათ რომ ვინმე გულშემატკივარი და გზის მაჩვენებელი ჰყოლოდათ, ეს დღე არ დაადგებოდათ, მაგრამ სად არის ასეთი მადლიანი კაცი! მით უმეტეს ადვილია მათი შველა, რომ იშვიათი გლეხია რაჭაში, რომელსაც თავისი სარჩოსაბადებელი სულ მცირედ 1000 მანეთზე ნაკლებ გაეყიდოს, თორემ საერთოდ 3000—5000 მანეთად იყიდება მათი ადგილ-მამულები. ორივე ზემო დასახელებულმა გლეხმა თავისი ხვედრი ადგილ-მამული, ღარიბ გლეხების პირობებში, 2000—3000 მ. თვითეულმა შეასყიდეს ნათესავებს, და ის დღე კი დაადგათ. ამ ფულით მათ სამშობლოშივე შეეძლოთ სადმე კარგად მოწყობა, მაგრამ სად არის კაცი, რომ გზა უჩვენოს ან დახმარება რამ აღმოუჩინოს? იმ დროს, როცა შორიდან მოსულ რუსის გლეხს უფასოდ ურიგებენ მიწებს და მოსაწყობ ფულსაც ბლომად აძლევენ, ჩვენს გლეხს გზის მაჩვენებელიც არა ჰყავს.

შეიძლება ვინმე ფიქრობდეს ამ საქმეზე თავის შეწუხებას და რამის გაგებას, მზადა ვარ მივაწოდო ყოველგვარი ცნობები. ჩემი ადრესის გაგება „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

გ. გ—ნი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პრინციპიალური საკითხი.** ტფ. ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოს ჯარში უნდა ჩაერიცხა ერთი ტფ. მცხოვრები, რომელიც, სხვათა შორის, ასრულებს თურმე საკვირაო სკოლის მასწავლებლის თანამდებობას. როდესაც საკრებულოს დაუბარებია ჯარში ჩასარიცხად, მასწავლებელს განუცხადებია, რომ იგი, როგორც საკვირაო სკოლის მასწავლებელი, უნდა განთავისუფლებულ იქნას სამხედრო ბეგარისაგან. ამ გარემოებამ პრინციპიალური საკითხი დაჰბადა და საკრებულოს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, განემარტა ამ შემთხვევაში როგორ უნდა იქცეოდეს საკრებულო. კანონში ამ საკითხის შესახებ არაფერი ყოფილა. მთავრობას განუმარტავს, რომ საკვირაო სკოლა კერძო პირთა სკოლის ხასიათისაა და, მაშასადამე, ასეთ სკოლების მასწავლებელნი ვერ განთავისუფლდებიან სამხედრო ბეგარისაგან.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 26 აპრილის სხდომაზე განიხილა გამგეობის 5—6 მოხსენება, უმთავრესად წვრილმან საქმეების შესახებ. პირველად საბჭომ მოისმინა მოხსენება შუშის მცხოვრებლების, აწ გარდაცვლილ ა. ა. ტიუნიბეკოვის ანდერძის შესახებ. ტიუნიბეკოვმა ქალაქს დაუტოვა სახლი გრიბოედოვის ქუჩაზე, ღირებული 100,000 მანეთად. ამ სახლის შემოსავლით თავის სიცოცხლეში უნდა ისარგებლოს მოანდერძე'ს ქვრივმა, ხოლო შემდეგ შემოსავალი ქალაქს გადაეცემა. სახლზე არავითარი ვალი არ არის და, ხარჯის გარდა, წელიწადში წმინდა შემოსავალს 5000 მანეთს აძლევს. როდესაც სახლი ქალაქის განკარგულებაში გადავა, ანდერძით ქალაქმა ფული ყოველ წლის დამდეგს ღარიბ სომხებს უნდა დაურიგოს, ისე კი რომ ულარიბეს 25 მანეთზე ნაკლები არ უნდა მიეცეს. საბჭომ მიიღო ცნობაში ეს ამბავი და ფეხზე ადგომით პატივი სცა მოანდერძეს ხსოვნას. შემდეგ საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილებანი ქალაქის ყოფილ მსახურის მ. ვართანოვისა და ყოფილ პოლიციელების მუხინისა და გორჩიკოვსკისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ქალაქის დამფასებელ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ლ. თ. ტიგრანოვი. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ გამგეობის უფროს ბუღჰალტერის ერმიშევის პენსიის დანიშვნის შესახებ. წელიწადზე მეტია ერმიშევი ავად არის. გამგეობას დაუდგენია მიეცეს ერმიშევს პენსიად წელიწადში 1500 მან. საბჭომ კენჭის ყრით ერმიშევს დაუნიშნა 1200 მან. და ერთ დროულადაც 500 მანეთი გადაუწყვიტა. შემდეგი სხდომისათვის გადაიდო ორი საკითხი—ავლაბრის პროგიმნაზიის სრულ გიმნაზიად გადაკეთებისა და დაფასების წესის მე-20 პარაგრაფის შეცვლის შესახებ.

◆ **მოსწავლეთა განთავისუფლება.** მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს 6 თებერვალს ვაკეზე შეპყრობილი 13 მოსწავლე; ტფ. სასულიერო სემინარიის ორი მოსწავლე, ა. ტყემალაძე და ა. ანჯაფარიძე, ისევ ციხეში სხედან, რადგან მათ, ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სამი თვით ციხეში ჯდომა აქვთ გადაწყვეტილი.

◆ **მოსწავლეთა დასჯა.** გუშინ ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორმა ი. გამყრელიძემ პოლიცმეისტერს აცნობა, რომ ხსენებულ გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლენი თუმანოვი და ლეიცინგერი იავორსკის სახლოსნოში არა მოსაწონ საქციელისთვის საპედაგოგიო საბჭომ სასწავლებლიდან დაითხოვა; მესამე კლასის მოსწავლე მეგრელიძე ქუჩაში პაპიროსის მოწევისათვის დამწყვდეულ იქმნა 8 საათით, მეხუთე კლასის მოსწავლეს აბრამიანს წინადადება მიეცა სკოლიდან გავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნილ იქმნება; მეშვიდე კლასის მოსწავლე თავდგირიძე დამწყვდეულ იქმნა სამი დღით; მერვე კლასის მოსწავლე არჩილ ფურცელაძე დამწყდეულ იქმნა 7 დღით. ამასთან მას ყოფაქცევაში ნიშანი მოაკლდება პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით. დანარჩენი მოსწავლენი, ყველა რომელნიც ბზობის წინა დღით ცელქობაში იქნენ შემჩნეული, დაამწყვდიეს ხუთ-ხუთი დღით.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** 26 აპრილს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება. გამგეობამ, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია უნივერსიტეტის ნივთიერ მდგომარეობის შესახებ და დაადგინა, ბაქოში გამართოს ლექტორ სობოლევსკის ლექცია. სხდომაზე არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა ამ ლექციის მოწყობა არა უგვიანეს 15 მაისისა.

◆ **ლექცია.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ლექტორ სპილიოტის, წაიკითხოს სახალხო სახლში უნივერსიტეტის სასარგებლოდ ლექცია როსტანის ახალ პიესაზე „შანტეკლერ“-ზე.

◆ **ჯარში გასაწვევნი.** ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულოს კანცელარია მაისის პირველ რიცხვებიდან შეუდგება წელს ჯარში გასაწვევთა სიების შედგენას. ვისაც შეღავათი აქვს, მან უსათუოდ მაისის ოც რიცხვამდე უნდა წარუდგინოს ცნობები თავის ოჯახის მდგომარეობის შესახებ.

◆ **ლატარია - ალეგრი.** წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში უკვე დიდი მზადებაა. ბაზრისთვის შემოწირულებაც მოდის სხვა და სხვა პირისაგან. სეირნობა და ლატარია 2 მაისს გაიმართება.

◆ **საწამლავის დალევა.** გუნიბის ქუჩაზე მცხოვრებმა 18 წლის ქალმა, ბარბარე გიორგის ასულმა ზარიძემ 25 აპრილს ნიშადურის სპირტი დალია. ქალი მიხეილის სავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იგი გრძნობაზე მოიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. მიზეზი თავის მოკვლის განზრახვისა უკიდურესი სიღარიბე ყოფილა.

◆ **სასამართლოში.** ამ დღეებში კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაარჩია მასწავლებლების პარმენ გელაშვილის, გიორგი ნაცვლიშვილის, ვასილ კანჯარაშვილის, ივანე რაჩიკაშვილის და ნიკოლოზ მამისაშვილის საქმე. ბრალდებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო გელაშვილი, ნაცვლიშვილი და კანჯარაშვილი და მიუსაჯა ყოველივე უფლების ჩამორთმევა და ოთხ-ოთხი წლით კატორგაში გაგზავნა. გაამართლეს რაჩინაშვილი და მამისაშვილი. ბრალდებულთ იცავდნენ კლანკი, გედევანოვი, სტოლიარევსკი.

◆ პარასკევს, 30 აპრილს საღამოსთვის ტფ. მოქალაქეთა სამმართველოს დარბაზში ელისაბედის ქუჩაზე დანიშნულია საზოგადო კრება რწმუნებულებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა გადასახადებისა მოკრებისა შესახებ.

◆ ტფილისელი პოლიციელი ვასილ სტეპაკოვი სასამართლოში მისცეს, რადგან მან მაძებარ პოლიციის აგენტის ჩვენებით შეპყრობილ ტრამვაის კონდუქტორს ბალდასარ პოღოსიანცს თავის დაუდევრობით გაქცევის საშუალება მისცა.

◆ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, პოლიციამ მოსძებნოს მარიამ ჩერქაშინის შვილები—მიხეილ და კონსტანტინე, რომელნიც 25 აპრილიდან დაიკარგნენ. პირველი 17, ხოლო მეორე 14 წლისაა.

◆ ტფ. სამაზრო სამმართველოს მიერ მიღებულ ცნობებით, სოფელ ქვემო გომში (გორის მაზრა) სახადი გაჩენილა.

◆ მიხეილის ქუჩაზე ამას წინად ქურდებმა გასტეხეს გირგიდოვის ფეხსაცმელების მაღაზია და გაიტანეს 3000 მანეთის საქონელი. კარგა ხანი ძიების შემდეგ პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა ვლადიმერ თარხანოვი (ღვინით მოვაჭრე) და რაჟდენ გვარამაძე. ამათ აღმოაჩნდათ თითო წყვილი გირგიდოვის ფირმის ფეხსაცმელისა. გარდა ამისა, პოლიციას გამოურკვევია, რომ ამ ქურდობაში მონაწილეობა მიუღია ოჰანეზ ბილოიანცს, რომელიც აგრეთვე დააპატიმრეს.

◆ 26 აპრილს დააპატიმრეს შიო მიქაძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა და ტფილისში იმალებოდა. ამავე დღეს პოლიციის 1, 7, 8 და მე-10 ნაწილში დააპატიმრეს 44 უპასპორტო კაცი.

მოწერილი ამბავი

სოფ. გურჯაანი (სიღნაღის მაზრა). სოფელი გურჯაანი ერთი დიდ სოფელთაგანია სიღნაღის მაზრაში, მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით ათას კომლამდე ადის. აქედან ორასამდე სომხებაა, დანარჩენი ქართველობა. ფოსტის გზა შუაში უვლის. ბუნება საუცხოვოა, მეტადრე ეხლა, გაზაფხულის გულზე. ალბად ეს, ეს ბუნების სიუხვე და სიმშვენიერეა მიზეზი, რომ მშრომელ ხალხს არ ულევს ძალას და ხალისს და ყოველ გაზაფხულზე ახალის სიცოცხლით აჯილდოვებს. მართლაც და საამურია აქაური დედოფალივით მორთული ვენახები, რომელნიც ეს-ეს არის შეუხებ-შეუსვრავი და ლამაზად გაფურჩქვნილნი დიდ იმედს წარმოადგენენ აქაურ ხალხისთვის. სოფელი საერთოდ შეძლებულად უნდა ჩაითვალოს; ორ სართულიანი, ლამაზად მოწყობილი სახლი თუ არ ნახევარი, ერთი მესამედი მაინც იქნება სოფელში.

ამ ჟამად აქ ორი პირველ დაწყებითი სკოლა არსებობს. ერთი სამრევლო, მარტო ქალებისა, რომელშიაც სამოცი ბავშვი სწავლობს, მეორე სამინისტრო, ორ-კლასიანი, ას-ოც მოწაფით ორთავე სქესისა. ამას გარდა, აქ სცხოვრობს ერთი მასწავლებელი ქალი, რომელიც სკოლა დამთავრებულ პატარა ქალებს ასწავლის ჭრა-კერვას და მოწაფეებიც საკმაო ჰყავს. აღსანიშნავია ის სასიამოვნო მოვლენა, რომ ამ სოფელში ხალხს უკვე კარგა შეუგნია სწავლა-განათლების საჭიროება. დაუზარებლად იხდიან თურმე წლიურ სამი მანეთის გადასახადს აქაურ სამრევლო სკოლის მოწაფეები. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ენკენისთვეში, სწავლის დაწყების დროს, უადგილობის გამო სკოლის გარეთ დარჩენილი ბევრი პატარა ატირდება ხოლმე და კალთაზე ეკიდება სკოლის გამგე მღვდელს: „მამაო, მიგვიღე, სწავლა გვინდაო“.

ამ წლიდან აქ გაიხსნა საერობო სახის სოფლის სამკურნალო, ერთის ექიმით, ორის ფერშლით და ერთის ბებია ქალით. წამლობის და თავის მოვლის საჭიროებაც შეგნებული აქვს კარგად აქაურ ხალხს. შემდეგში ჯანმრთელობის საქმის უფრო მტკიცე ნიადაგზე დაყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უნარს გამოიჩენს ახლად დაარსებული სამკურნალო და რა დახმარებასა და თანაგრძნობას გაუწევს ექიმს ხალხის [illegible] აქაური ინტელიგენცია და სოფლის სათავეში მდგომი მოხელე პირები. აქაურ ინტელიგენციის ერთი კარგი საქმე უკვე გაუკეთებია, დაუარსებია წიგნთსაცავი და სამკითხველო. დაწესებულება დაიწყებს მალე მოქმედებას.

აღძრულია აგრეთვე საქმე იმის შესახებ, რომ აქ დაარსდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება. დაარსებულია უკვე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომლის მნიშვნელობაზე მეტია ლაპარაკი.

სოფელი გურჯაანი შესანიშნავია აგრეთვე თავის ტალახის მორევებით, რომელიც გამოულევლად ამოდის მიწის გულიდან. ამ ტალახს ფრიად საყურადღებო სამკურნალო თვისებები აქვს. ამ ადგილს „ასტაალას“ ეძახიან, მაგრამ ამაზე შემდეგ ვეტყვი რასმეს მკითხველს.

ძველელი.

გორი. 23 აპრილს გორისჯვრობა იყო. დღეობა ჩვენი გლეხისთვის ერთად-ერთი დროა, როდესაც იგი, უღვთო შრომისაგან ქანცმიწყვეტილი, ცხოვრების სიდუხჭირისაგან გულგადაღეული, დროებით ივიწყებს დარდს, ისვენებს, მხიარულობს ეკლესიის კარის წინ, მხიარულობს ჯალაბობასთან, ნათესავ-მეგობრებთან ერთად. მეტად გულუხვია ამ დროს უმისოდაც გულუხვი და მოპურმარილე ქართველი გლეხი. სასიამოვნო სანახავია: სახე მომღიმარი, მხიარული, თითქოს ბედით კმაყოფილიაო, მადლობის თვალით შეჰყურებს იგი ცასაც დედამიწასაც, ურემზე რქებით გამობმულ პირუტყვთაც, ურემსაც კი... ყველას ეპატიჟება, იწვევს, უმასპინძლდება, ყველას კეთილს უსურვებს, „შეგეწიოთ, შეგეწიოთო“. გარმონ-დაირით, სიცილ-კისკისით მრავლად მიემგზავრებოდნენ მლოცველნი გორისჯვრისკენ 22 აპრილს სხვა და სხვა სოფლებიდან. ურემი ურემს მიდრიჭინებდა, ცხენი ცხენს მისდევდა, მიბღავ-მიზმუკუნებდნენ ზვარაკად შეწირული მოზვერ-ცხვარი, მხიარულად ტუდაშურებდა შოლტი და იმის ტუდაშუნს უერთდებოდა მეხრის წკრიალა ხმა „მაამო გიშერა“. მრავლად მისდევდნენ უკან დედაკაცები, ბავშვები, ზოგი ფეხშიშველა, ზოგი თეთრებში გამოხვეული. ახმაურდა მდუმარე, გორის წარსულის მოწმე გორისჯვარიც. 23 აპრილს ხალხი ბუზივით ირეოდა. აქეთ-იქიდან გაისმოდა ხრინწიანი „მრავალჟამიერი“, ალაგ-ალაგ ლხინი იყო გახურებული. გორელებიც ბლომად ეწვივნენ ამ დღეს გორისჯვარს—ზოგი სალოცავად, ზოგი სამხიარულოდ.

მაგრამ გლეხს მხიარულება ნაღვლად შეეცვალა. ესე 12-1 საათზე აირია ღრუბლები, დაჰბერა ძლიერმა ქარმა. ეტყობოდა სახეიროს არას მოასწავებდა. მალე წამოუშინა თხილის ოდენა სეტყვამ, ხალხი შეწუხდა, ყველამ ქოხებს, ეკლესიას მიაშურა. ძაღლები წკმუტუნით ურემ ქვეშ შეძვრნენ. გაისმა ზარების გუგუნი. თვალცრემლიანი გლეხები ხელებ გაპყრობილნი ლოცულობდნენ. მხიარული „მრავალჟამიერი“ „წმიდა გიორგი, შეგვიწყალე, ნუ დაგვღუპავ“-ად შეეცვალათ. 15 წუთამდე გაგრძელდა სეტყვა. ამბობენ, ვაზსა და ხეხილს დიდი ზიანი მიაყენაო... არ შემიძლია არ ვუსაყვედურო ზოგიერთ დედებს: ნეტავი რისთვის უნდოდათ 5-6 წლის ბავშვები რომ აეკიდნათ და რის ვაი ვაგლახით გორისჯვარში მიათრევდნენ, სეტყვის დროს რამდენიმე ბავშვი აკი მიეტოვებინათ გზაში. ორი თუ სამი ბალღი ტირილით ქანცმიწყვეტილი და სეტყვით შეშინებული, მგზავრებმა მოიყვანეს ეკლესიაში. სასაყვედურონი არიან ისინიც, ვინც შეუბრალებლად გაჰქელა' და მიწაზედ დაასგო მწვანედ მობიბინე გლეხის ნაშრომი ჯეჯილი. ნეტავი სინიდისი რა უბნებოდათ, როცა ისე ულმერთოდ ათხრებდნენ გლეხის ოფლზე ამოსულ თვისსავე საკვებს.

სადაც ფიზიკურ ძალას, მაგარ მუშტს, გადაჭარბებულ გულადობას და თავხედობას თაყვანსა სცემენ, რასაკვირველია, მდევის მგზავს გოლიათს ქაჩალას ყველა ემორჩილებოდა და მზად იყო ყოველი მისი ბრძანება აესრულებინა. და ვაი იმას, ვინც გაჰბედავდა და ქაჩალას წინ აღუდგებოდა. მაგრამ არა მარტო შიშით მოიპოვა ქაჩალამ გავლენა და ავტორიტეტი. ჯერ მარტო მისი წარსული მოღვაწეობა, მისი განთქმული ყაჩაღობა, ორჯელ კატორგიდან გამოქცევა საკმაო იყო, რომ მას დიდი პატივი და თვით სიყვარულიც მოეპოვებინა ტუსაღებში. მაგრამ ამას გარდა ტუსაღებს ქაჩალა მეტად სამართლიან კაცად მიაჩნდათ, ვინაიდან ეს უკანასკნელი არას დროს თავის კერძო პირად ინტერესის მიზეზით შურს არ იძიებდა, და თუ გადაეკიდებოდა ვისმეს, ალბად რაიმე საერთო, საამხანაგო საქმისათვის. ბევრჯელ მოსვლია ქაჩალას შეტაკება საპყრობილის ადმინისტრაციასთან, ბევრი ცემა და სიბნელეში დამწყვდევა აუტანია ამხანაგის გულისთვის. და ამას ტუსაღები ძვირად აფასებდნენ.

სიტყვას ძნელად დასძრავდა ქაჩალა, მაგრამ თუ უსამართლობას რაშიმე დაინახავდა, არავის დაინდობდა, სწრაფად ბრაზდებოდა და მაშინ მისი მუშტი, მისი ძლიერი მკლავები, რაც-კი მოხდებოდათ, სწრაფად ამსხვრევდნენ. თავის გაჩეხა, დასახიჩრება, ულმერთოდ ცემა იყო შედეგი ქაჩალას მარდი-მსაჯულობისა. საპყრობილის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქაჩალას და სიფრთხილით ექცეოდა, იცოდნენ, რომ იგი თუ გაბრაზდებოდა არც ტყვიას, არც მახვილს არ მოერიდებოდა.

როდესაც საერთო პროტესტის გამოცხადება ან რაიმე საერთო მოთხოვნილების აღსრულება გვესაჭიროებოდა, მაშინვე ქაჩალას მივმართავდით ხოლმე. ვიცოდით, რომ ერთი მისი თითის დაქნევა საერთოდ ყველა „უგოლოვნს“ აამხედრებდა, ოღონდ კი დარწმუნებულიყო ქაჩალა, რომ საქმე საერთო მიზნისთვის კეთდება. ვერც ერთი ტუსაღი ვერ გაჰბედავდა და ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ქაჩალას ბრძანება არ აესრულებინა. ქაჩალა გაფიცვას გამოაცხადებდა და იმ დღეს ციხეს არც მუშა, არც მხარშავი, არც დამკვლელი, არც ლამპრების ამნთები არ ეყოლებოდა. ყოველგვარი მუშაობა, მოძრაობა და ცხოვრება სწყდებოდა ციხეში. გასცემდა ბრძანებას ქაჩალა და საპყრობილეში ერთბაშად საშინელი აურ-ზაური, წივილ-კივილი, კარებებისა და ფანჯრების მტვრევა ასტყდებოდა. ყოველი ეს საპყრობილის ადმინისტრაციას მეტად უჭირებდა საქმეს. დროც ისეთი იყო, რომ სასტიკ ზომების მიღება და იარაღისთვის მიმართვა როგორღაც არ ეხერხებოდათ, და ყოველთვის დათმობას და ასე თუ ისე ტუსაღების დაკმაყოფილებას ირჩევდნენ. მაგრამ ქაჩალას მაინც და მაინც ასე თუ ისე გადაახდევინებდნენ ხოლმე. სხვა რამ მიზეზს მოუგონებდნენ, ან ძალაუნებურად გამოიწვევდნენ და ისეთ დანაშაულს ჩაადენინებდნენ, რომ მერე საბნელში ჩააგდებდნენ. რასაკვირველია, ქაჩალა ნებით არ მიდიოდა ხოლმე, და ხშირად ულმერთოდ სცემდნენ. მაგრამ ეს ქაჩალას გულს ვერა სტეხდა და როდესაც კი მოითხოვდა საჭიროება, იგი ისევ თავისებურად ამხედრებდა ტუსაღებს და მეთაურობდა. საზოგადოდ ქაჩალა დაუძინებელი მტერი იყო საპყრობილის ადმინისტრაციისა. სადაც და საითაც კი შეიძლებოდა ზედამხედველის ან სხვა მოხელის შეწუხება, მათთვის არა სასიამოვნო ამბის მოხდენა, ქაჩალა ყოველ ზომას ხმარობდა, რომ ისინი შეევიწროებინა, შეეწუხებინა, მოთმინებიდან გამოეყვანა. მისგან დაგეშილი და გამხნევებული ქურდებიც სცდილობდნენ გაემწარებინათ ზედამხედველების და დარაჯების სიცოცხლე. ჯიბიდან ფულს და საათებს აცლიდნენ, „ცეიხგაუზიდან“ ტანისამოსს იპარავდნენ, ხშირად მორიგე ზედამხედველს პურსა და საჭმელს თვალწინ აცლიდნენ ხოლმე და სხვა.

მიუხედავად იმ გავლენისა, რომელიც ქაჩალას ტუსაღებზე ჰქონდა, მიუხედავად იმის მძლავრ და ფიცხს ხასიათისა, იგი ამხანაგებს ძმურად ექცეოდა და ბევრს რასმეს, შეგინებას, მოპარვას ყველა ამისთანას ქაჩალა აპატიებდა ამხანაგს. ხოლო ერთს არ დაივიწყებდა, არ შეარჩენდა, ვინც უნდა ყოფილიყო: მოღალატეს, ჯაშუშს, დამბეზღებელს არასოდეს არ მიუტევებდა ქაჩალა. მართალია, საზოგადოდ ტუსაღები სასტიკად სჯიან ამგვარ ამხანაგს, მაგრამ ქაჩალა ამ მხრივ მეტისმეტად შეუბრალებელი იყო. სადაც კი მოასწრებდა შემჩნეულს ამხანაგს, თუ მოკვლას და დაღრჩობას ვერ მოახერხებდა, ულმერთოდ მაინც სცემდა და ხშირად დაასახიჩრებდა კიდეც. გინდა საერთოდ ამხანაგებს ეპატიებინათ კიდეც ვისთვისმეს მაბეზღრობა, ქაჩალა მაინც არ შეურიგდებოდა და სადაც მოასწრობდა, სასტიკად დასჯიდა. ამგვარ დანაშაულს ქაჩალა არასოდეს არ აპატიებდა, გინდაც რომ ბევრი შესამსუბუქებელი საბუთი ყოფილიყო. რამდენიმე ხნის წინად ქაჩალას განეძრახა საპყრობილიდან გაქცევა. როგორც იყო, ეშოვნა იარაღი და საწოლის ქვეშ კუნჭულში იატაკის ფიცარი კიდეც ამოეჭრა, მაგრამ დაებეზღებინათ, გაეჩხრიკათ, ეპოვნათ იარაღიც და ამოჭრილიც. ჩაეგდოთ ერთი კვირით ქაჩალა საბნელში და ძლიერ ეცემათ კიდეც, მერე გადაეყვანათ სხვა კამერაში, საიდანაც გაქცევა შეუძლებელი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ქაჩალას გაეგო, რომ დამბეზღებელი მისი ახლო ამხანაგი „კოჩორა“ ყოფილიყო. რაწამს შეატყო კოჩორამ, რომ ქაჩალამ გაუგო ჯაშუშობა, მაშინვე მიმართა საპყრობილის უფროსს და სთხოვა, ცალკე ოთახში, „სეკრეტში“, გადაეყვანა და ქაჩალასაგან დაეცვა. კოჩორასთანა ტუსაღებს საპყრობილის ადმინისტრაცია უფრთხილდება და კარგად უვლიდა, ვინაიდან ესენი მათთვის ფრიად სასარგებლონი არიან, და მიუხედავად ამისა, უფროსმა კარგად იცოდა, რომ ქაჩალა მოუკლავს არ გაუშვებდა კოჩორას. ისიც იცოდა რომ, თუ კოჩორა თითონ არა ყველა დანარჩენი ტუსაღი თავის მოვალეობად ჩასთვლიდა კოჩორასათვის ასე თუ ისე გადაეხადნა. ჩასვეს კოჩორა ცალკე „სეკრეტში“, მიუყენეს ცალკე დარაჯი, საჭმელსაც თითონ უზიდავდნენ, რადგან ეშინოდათ, არ მოსწამლონო, სხვებთან სასეირნოდ არ უშვებდნენ და იმის კარის ახლოს არც ერთ ტუსაღს არ აკარებდნენ.

ერთხელ ვიღაც გარედან მოსულიყო კოჩორას სანახავად. წაიყვანეს იგი „სანახავ“ ოთახში, თან ზედამხედველი მისდევდა. თურმე სწორედ ამ დროს საპყრობილის კანტორიდან გამოსულიყო ქაჩალა, რომელიც რაღაც საქმისთვის დაებარებინა უფროსს, ქაჩალასაც დარაჯი ახლდა. ეზოში რო დაინახა ქაჩალამ კოჩორა, უცბად მივარდა და წაუჭირა ყელში. მიჰვარდა ორივე ზედამხედველი, მაგრამ ვერას გახდნენ. ასტეხეს ყვირილი, ორი-სამი ზედამხედველი მიეშველა, და ძლივს ძლიობით გამოჰგლიჯეს გაფთრებულ ქაჩალას მომაკვდავი კოჩორა. რასაკვირველია, ქაჩალას ბევრი სცემეს და რამდენიმე დღით საბნელში ჩააგდეს.

ი. გედევანიშვილი.

(დასასრული იქნება)

როგორც გადმომცეს, სოფ. ტირძნისკენ ამ დღეს საშინელი სეტყვა მოვიდა. სულ-ერთიან ჩაურეცხია მინდორ-ვენახი, ბაღები. ჩვენ გაჭირვებულ გლეხს ეს-და აჭირვებოდა!

ვინმე სანგანიძე.

ექსკურსია ბეთანიაში

კვირას, 25 აპრილს, პატარა ჯგუფი და ქართულ გიმნაზიის მეორე კლასის 15 მოწაფე მასწავლებლების დ. კარიჭაშვილის და ლ. ბოცვაძის მეთაურობით წავედით ბეთანიის ძველი მონასტრის დასათვალიერებლად. დილის 6½ საათი იქნებოდა, როდესაც გაუდექით გზას. მშვენიერი გრილი დღე იდგა. მწვანე მინდვრებს ბიბინი გაჰქონდათ, ნელი ქარი მოჰქროდა და სიარული საამო იყო. მაგრამ რაკი შეუდექით მდ. ვერის ხეობას, გზა გარიცვალა, ხევხევ გვიხდებოდა სიარული. მდ. ვერა მოდიდებულიყო, გადახტომა არ შეიძლებოდა და ფეხით გვიხდებოდა წყალში გასვლა. ჩვენი გზის მაჩვენებელი ვერ გამოდგა ნამდვილი „ჩიჩერონე“, ბილიკები დავიწყნოდა და უგზო-უკვლოდ მივდიოდით. თითქმის 10 ვერსით მეტის გავლა დაგვჭირდა. დიდი წვალება გამოვიარეთ—კლდეებზე ფოფხვითა და ხოხიალით, თუმცა ზოგგან მეტად სასიამოვნო ადგილებიც იყო.

ხშირი, კოხტად ნაზარდი ტყე გზას გვიბურავდა. ეს ტყე ბარონ ნიკოლაის ეკუთნოდა და ეხლა, როგორც ადგილობრივმა გლეხებმა გადმოგვცეს, თავ. შერვაშიძეს (ტფ. გუბერნატორად ნამყოფს) ეკუთვნის თურმე. ბარონ ნიკოლაის მშვენიერი ბაღი აქვს, ვენახიც. იქვე რამდენიმე მოსახლეც არის, ქართველები, სცხოვრობენ მინდვრის მოსავლითა და ტყით. ერთი იმერელიც დასახლებულა აქ და მშვენივრად მოუწყვია თავისი ოჯახი. იმისმა ბავშვებმა წერა-კითხვა იცოდნენ და დიდის სიამოვნებით მიიღეს ჩვენგან მიწოდებული ქართული გაზეთები.

როგორცა ვთქვი, გზა ალაგ-ალაგ მეტად ცუდი იყო, დავიღალენით დიდებიც და ჩვენი პატარა თანამგზავრებიც, მაგრამ ყველაფერი დაგვავიწყდა, როდესაც აღმართს ავუდით და მთიდან ხევს გაღმა, მოვაკებულ ადგილზე დავინახეთ ძველი მოწითალო ტაძარი.

ბეთანია მშვენიერ ადგილზეა აგებული: ტერასისავით კარგა დიდი ადგილი, ირგვლივ ხშირად აყრილი ტყე, აღმოსავლეთ - ჩრდილოეთით ხევი. თითონ ტაძარი თლილი ქვისაგანაა აგებული. შიგა და შიგ მოწითალო და ცისფერი ქვებია ჩატანებული. კარ-ფანჯრები მოჩუქურთმებულია. ჩუქურთმა მეტად სუფთა ნამუშევარია. ეს ტაძარი ბევრჯელ ყოფილა განადგურებული. აგებულია თამარ დედოფლის დროს და ჟამთა ვითარების განმავლობაში ბევრი ქარტეხილი დასტეხია თავს, მრავალჯერ ყოფილა განადგურებული და აღდგენილი.

ამ ოცი წლის წინადაც იგი ნანგრევს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ეკლესიას. მთიდან ნიაღვარს უხვად მიელამა სამხრეთის კედელი, ცა ჩამონგრეული იყო, ყველაფერი განადგურებული, გარდა კედლებისა და გუმბათის ნაწილისა. მაგრამ 15 წლის წინად მზრუნველი გამოსჩენია ბერი სპირიდონი, რომელსაც აღუდგენია ტაძარი. მილამული მიწა გადაუყრია, ეზო მოუწმენდია, გამონგრეული კედლები გამოუშენებია, ჟესტის სახურავი გადაუკრავს, გუმბათიც შეუკეთებია და დაუხურავს და დღეს ბეთანია კოხტად გამოიყურება. დიდი ენერგიის კაცი ყოფილა მ. სპირიდონი, თითქმის ცხრაასი თუმანი შეუგროვებია კაპეიკებით ტაძრის ასაგებად და ტაძრის აღდგენის გარდა აუგია ორსართულიანი სახლი ღამის მთევლებისათვის.

შიგნითაც საინტერესო სანახავია ტაძარი: ჩრდილოეთ კედლებზე დღემდის წმინდად შენახული თამარ დედოფლისა, ლაშა გიორგისა და დავით სოსლანის სურათები წარწერებით. საზოგადოდ მთელი ტაძარი დახატულია, მაგრამ, სამწუხაროდ, წარწერები გადასულა და არა სპეციალისტისთვის ძნელია ამოკითხვა. ეს ტაძარი ბევრით წააგავს ატენის ტაძარს. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ატენის ტაძარი უფრო დიდია და მაღალი და ამასთან მიტოვებული წვიმისა და ღამურების ანაბარად. იგი ეხლა საქონლის შესარეკ ალაგად არის გადაქცეული.

ძველი საეკკლესიო ნივთები არაფერი დარჩენილა რა ბეთანიაში; საეკკლესიო წიგნები, ხატები სულ ახალია და რუსულის წარწერით.

დასავლეთ კედელს ოთახივით მიდგმული აქვს შენობა და იმის ქვეითა სართულში აკლდამასავით რაღაც აღმოჩენილა. თითქმის მთელი ოთახი სავსეა ადამიანის ძვლებით. ძვლებზე ეტყობა, რომ ადამიანი, ვისიც ეს ძვალია, მახვილითა ყოფილა განგმირული. მაგ. თავის ქალაზე მეტად შესამჩნევად ეტყობა ნახმლევი. სხვა ძვლებიც გადაჩეხილია. საშინელი გრძნობა აღუძრა ყველას და უფრო კი იმ ჩვენს პატარა თანამგზავრებს, გიმნაზიის მოწაფეებს, რომელნიც არ დაკმაყოფილდნენ ერთი ნახვით და რამდენჯერმე ჩავიდნენ აკლდამაში და გასინჯეს ძვლები.

დიდი ტაძრის გვერდით ძველი პატარა ეკკლესიაა აგებული. ესეც განუახლებია მ. სპირიდონს და ნანგრევი კვლავ სამღვთო ლოცვა-ვედრების სავანედ გაუხდია. ამ ეკკლესიაში ძველი ვერცხლის ბარძიმია, რომელიც მიწაში აღმოჩენილა. ბარძიმს აწერია, რომ იგი შეუწირავს ბარათაშვილს 1677 წელს.

ბეთანიის ტაძარს მაისში აკურთხებენ, მ. სპირიდონი აღტაცებით მოელის იმ დროს, როდესაც წირვა-ლოცვა შესრულებული იქნება ძველ ტაძარში.

მშვენიერი წყარო აგვირგვინებს ბეთანიის მიდამოს სიკეკლუცეს. ცივი ყინულივით, წმინდა, ანკარა წყარო აცოცხლებს აქაურებს. ყველაფერი ამტკიცებს, რომ ბეთანიის ახლო-მახლო სიცოცხლე ყოფილა და ნანგრევები ეხლაც ბლომად სჩანს აქა-იქ. ტაძრიდან ორი საჟენის მოშორებით აბანო ყოფილა. ძირს კლდეა (შეიძლება დუღაბიც იყო), გარშემო თლილი ქვები. ეხლა ეს აბანო წყლის მოსაგროვებლად და ბაღის მოსარწყავად გადაქცეულა.

მეტად დავიღალენით, თუმცა მამა სპირიდონმა დიდი მასპინძლობა და სტუმართ-მოყვარეობა გაგვიწია. პატარა ჩვენი თანამგზავრები თუმცა ებტიბარს არ იტეხავდნენ და ამბობდნენ არ დავღალულვართო, მაგრამ იმათ ნორჩ სახეებზე ნათლად ემჩნეოდა დაღლილობის ნიშანი. გადავწყვიტეთ ღამე ბეთანიაში გაგვეთია და მეორე დილით ადრე მოკლე გზით წამოვსულიყავით. ასეც მოხდა. ღამე იქ დავრჩით, ავანთეთ ცეცხლი, შებინდებისას მოწაფეებს ჩაი დავალევინეთ, დასაძინებელი ადგილი უშოვეთ, ჩვენ კი ცეცხლს შემოუსხედით. მ. სპირიდონმა ბევრი რამ გვიამბო. ირგვლივ მთიულებია, გაფანტულნი არიან, 5—10 კომლობით. არავინაა, რომ იმათზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს, არც სკოლები, არც ეკკლესია და არც სხვა რამეო. მოწყვეტილნი არიან ქალაქს, კულტურულ დაწესებულებებს. წერა-კითხვის სწავლას მისდევენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ წერა-კითხვის მცოდნეც ნაკლებად მოიპოვება. გამოითქვა აზრი, რომ მოძრავ სკოლებს და მასწავლებლებს შეუძლიათ მოუტანონ სარგებლობა ამ ხალხს და ცოდნის შუქი შეიტანონ იქ.

თვით ბეთანიას ბედ-იღბალზედაც გველაპარაკა მ. სპირიდონი და ბევრი რამ საყურადღებო გადმოგვცა. მ. სპირიდონს აფრთოვანებს ის აზრი, რომ ბეთანიას გარეშემო ადგილებს ბარათაშვილები, როგორც პირადად უთქვამთ, ქართულ გიმნაზიას შესწირავენ და საზაფხულო საგარაკო ადგილად გადაქცევენო. მართლაც, რა კარგი იქნებოდა, რომ გიმნაზია აქ თავის საზაფხულო კოლონიას გამართავდეს. მშვენიერი მიდამო, ტყეები, წყაროები—ყველას ეს დიდ გავლენას იქონიებს იმ მოწაფეებზე, რომელთაც ბედი სჯით და ზაფხულობით სიცხეში ტფილისში სტოვებს. ასეთი კოლონიები, მოაწყო ბევრმა გიმნაზიამ, მაგ. ბაქოსამ და კარგი იქნება ამაზე უზრუნოს ქართულმა გიმნაზიამაც.

მეორე დღეს ადრე წავედით. გზა შედარებით უფრო უკეთესი და მოკლე გვასწავლა ერთმა მთიულმა. ამ გზით სიამოვნებით ჩამოვედით ტფილისში. გამოვიარეთ სამადლო (ეხლანდელი თეთრი დუქანი), საიდანაც კოჯორი აღმოსავლეთ-სამხრეთით სჩანდა, ჩამოვედით წყნეთში და მერე დილის 10 საათზე ტფილისში. წყნეთში სკოლის გვერდით გავიარეთ. ჯერ სწავლა არ დაწყებულიყო. ბავშვების ჟრიამულმა ჩვენი ყურადღება მიიქცია და ჩვენც შევდექით. ვიკითხეთ ვინ იყო მასწავლებელი, როგორი სწავლაა და სხვა. მასწავლებლად აღმოჩნდა რუსი, რომელმაც ადგილობრივი ქართული ენა არ იცის, სწავლება რუსულ ენაზეა და, როგორც გადმოგვცეს, „ლევიცკის სისტემაზე“.

ერთი მგზავრთაგანი.

თეატრი და ხელოვნება

ფოცხვერაშვილის კონცერტი. ფოცხვერაშვილის კონცერტი გაიმართება ქართულ თეატრში პარასკევს, 14 მაისს. კონცერტზე შესრულებული იქნება ფოცხვერაშვილის მიერვე ორკესტრისათვის შემუშავებული ქართული ეროვნული სიმღერები, სიმფონიური მუსიკალური სურათი ორკესტრისათვის ეროვნულ მითოლოგიაზე „ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან“ და ბალანჩივაძის „თამარ ცბიერიდან“, მეორე სურათი მეორე მოქმედებისა არია ცირასი ქალთა ხორით. ცოცხალ სურათების დადგმა მუსიკის ილლიუსტრაციით იკისრეს მხატვარმა რ. ზომმერმა და მისმა ამხანაგებმა.

მომავალი სეზონი. როგორც გადმოგვცეს, დრამატიულ საზოგადოების ახალი გამგეობა უკვე შეუდგა მომავალ სეზონისათვის მზადებას. დასში მიწვეულნი იქნებიან, სხვათა შორის, ნ. ჩხეიძის ასული და ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ამ უკანასკნელს მიენდობა უმთავრესი გამგეობა და ხელ-მძღვანელობა დრამატიულ კურსებისა, რომლის დაარსებასაც ჰფიქრობს გამგეობა. რეჟისორებად კი, როგორც გადმოგვცეს, მოწვეულნი იქნებიან თანასწორ უფლებით ვ. გუნია და ვ. შალიკაშვილი. გამგეობა შეუდგა აგრეთვე მომავალ სეზონისთვის რეპერტუარის შემუშავებას.

წ.-კ. საზოგადოების ლატარიისთვის

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ 2 მაისს განზრახული ლატარიისთვის შესწირეს:

კ. ი. ფითოევმა: ფრაჟეს ორი სასუხრე, პიქის დასადგმელები ფრაჟესი, ორი ფრაჟეს საკარაქე, სამი ვაზა კამფეტებისთვის, ერთი ფრაჟეს საშაქრე; ე. ი. სარაჯიშვილისამ: სატუალეტო მოწყობილება ბრინჯაოსი, ოთხი ვაზა ყვავილებისა, საქსონის ჯამი და ვაზა, ხის თევზი დახატული, ბროლის ორი ჯამი და კიდევ სხვა წვრილმანი ნივთები; ე. ი. თამამშევისამ: დიდი ალბომი, ტერმომეტრი, ორი ჩარჩო და ეტაჟერკა, უბის წიგნი, საფერფლე, მარმარილოს კვერცხი; კნ. ნინო დ. ჩოლოყაშვილისამ: დიდი ვაზა ყვავილებისა და ბროლის ლიტრა თეფშით; კნ. ვ. ა. ჭავჭავაძისამ: ორი საფერფლე, საკარაქე, ერთი სტოლის გადმოსაგველი ფოდნოსი და სხოტკი; კნ. ე. მ. სუმბათაშვილისამ: ექვსი ფინჯანი, თერთმეტი თეფში, ერთი ვაზა, ერთი დიდი ჯამი და სხვა წვრილმანი ნივთები; დ. ზ. სარაჯიშვილმა: ოცი ბოთლი კონიაკი; ი. გოგებაშვილმა: ხუთი „ბუნების კარი“. ვ. ბერელაშვილმა 16 ბ. ღვინო.

რუსეთი

✦ **ბურცევი.** როგორც მკითხველმა იცის, ამ რამდენიმე ხნის წინად ბურცევი ამერიკაში წავიდა. „გოლ. მოსკ.“ სიტყვით, ამერიკაში ყოფნის დროს ბურცევისთვის ვიღაც უცნობს ადგილი დაუნიშნია, აქა და აქ მოდი და საინტერესო ცნობებს გადმოგცემო. ბურცევი ძალიან დაინტერესებულა ამ ამბით და დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილზე წასულა. ბურცევი კარგა ხანი არ დაბრუნებულა, მეგობრებს ეჭვი შეჰპარვიათ, ხომ არაფერი დაჰმართეს ბურცევსო და პოლიციისთვის შეუტყობინებიათ. პოლიცია დაფაცურებულა და მალე ბურცევი—ქალაქ გარედ ფეხ-ხელებ შეკრული უპოვნიათ. ბურცევს ამ ყოფაში დიდი ხანი გაუტარებია, ვინ იყო უცნობი, ან რისთვის შეჰკრეს ბურცევი და ქალაქ გარედ დააგდეს, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის.

✦ **ფინლიანდიაში.** პირველ მაისს ფინლიანდიის სხვა და სხვა ადგილებში მუშებს მანიფესტაციები მოუხდენიათ. ჰელსინგფორსში მუშებს გაუმართავთ მიტინგი, რომელსაც ათი-ათასი კაცი დასწრებია. მიტინგზე ულაპარაკნიათ სეიმის დეპუტატებს. დასასრულ მუშებს პროტესტი განუცხადებიათ, რუსეთის მთავრობა უკანონოდ იქცევა, როდესაც სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოში შეაქვს საერთო საიმპერიო კანონმდებლობის შესახებ პროექტიო. მიტინგზე დაუპატიმრებიათ ერთი რუსი ორატორი.

✦ **ცირკულიარი.** „რუს. კრ.“ სიტყვით პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს გუბერნატორებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია, ნუ დაამტკიცებთ იმ მომხმარებელ საზოგადოებათა წესდებებს, რომლებშიაც შედიან სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირებიო. ცირკულიარით გუბერნატორებს ევალებათ არ დიმტკიცონ წესდება მაშინაც კი, როდესაც მომხმარებელ საზოგადოებაში კერძო რკინის გზის მოსამსახურეები შედიან.

✦ **პეტერბურგის საინტენდანტოს მოხელეები.** სენატორ გარინის რევიზიამ პეტერბურგის საინტენდატოში „ბევრი რამ“ აღმოაჩინა და მათ შორის ისიც, რომ მოხელეები აშკარად და მოურიდებლად ქრთამებს იღებდნენ. რევიზიის გამოკვლევით საინტენდატოს მოხელეებს ფირმები თვიურ ჯამაგირს უნიშნავდნენ და ან თუ მოხელე თვიურ ჯამაგირს არა კმაყოფილდებოდა, მაშინ მას თვიურ ჯამაგირის მაგიერ ფული „თვითეულ“ შემთხვევის დროს ეძლეოდა. ამას გარდა, თვითეული მოხელე წელიწადში ორჯერ ღებულობდა სადღესასწაულო საჩუქარს: საშობაოდ და სააღდგომოდ. სადღესასწაულო საჩუქრების დარიგება ისე აშკარად ხდებოდა, რომ კაცს ეგონებოდა დანიშნულ ჯამაგირს ღებულობენ. მაგალითად, ზოგიერთ ფირმების წარმომადგენლები მიდიოდნენ პირდაპირ საინტენდაატოში, მიჰქონდათ ფული და იქვე აშკარად არიგებდნენ ფულს. ალაფუზოვების და სმირნოვის ფირმის წარმომადგენელი უფრო სხვანაირად იქცეოდა. მას თან მიჰქონდა წინა დღით დამზადებული კონვერტები ფულით და საინტენდანტოში არიგებდა კონვერტებს. „ალაფუზოვმა მიბრძანა მოგილოცოთ დღესასწაული და გადმოგცეთ ეს წერილი“. სადღესასწაულოდ 100 მანეთს ნაკლებს არავინ იღებდა. რაც შეეხება უფროსებს, მათ სადღესასწაულო საჩუქრებს სახლებში აძლევდნენ. როდესაც ომის შემდეგ გარეშეებს აუკრძალეს საინტენდატოში სიარული, მაშინ პატარა მოხელეები საჩუქრისთვის ფირმის წარმომადგენლებთან მიდიოდნენ. უფროსებს კი წინანდებურად სახლში უგზავნიდნენ. ამას გარდა, ფირმებს ჰქონიათ განსაკუთრებული ფონდი, საიდანაც მოხელეები ფულს სესხულობდნენ (რა თქმა უნდა დაუბრუნებლად). ამავე ფონდიდან ისტუმრებდნენ იმ ფულს, რომელიც ხმარდებოდა მოხელეებისთვის გამართულ ნადიმებს. რევიზიამ ფირმების წარმომადგენლებს ჩამოართვა ის საანგარიშო წიგნები, სადაც აღნიშნულია თუ რომელ მოხელეს რამდენი ეძლეოდა. საანგარიშო წიგნებში მოყვანილია ციმბირის, კავკასიის და ტაშკენტის საინტენდანტოების მოხელეთა გვარები.

✦ **ტამბოვის გუბერნატორის ცირკულიარი** „რეჩს“ ტამბოვიდან ატყობინებენ: ტამბოვის გუბერნატორმა ამ დღეებში ორი ცირკულიარი გამოსცა. ორივე ერობის და ქალაქის თვითმართველობის საყურადღებოდ. პირველში ნათქვამია: „ჟურნალ „გოროდსკოე ი ზემსკოე ხოზიაისტვოს“ რედაქციამ (პეტერბურგში გამოდის) გამომიგზავნა თავისი განცხადება. თანამშრომლების სიიდან სჩანს, რომ ჟურნალი კადეტების ხელშია ე. ი. იმ პარტიის ხელში, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებს. ამისთვის გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ ეს ჟურნალი არ გავრცელდეს თქვენ ხელქვეით დაწესებულებებშიო; მეორეში სწერია: გავიგე, რომ წიგნის-გამომცემლობის ამხანაგობას „როდნოი მირს“ განზრახული აქვს მიმართოს ქალაქის თვითმართველობებს და ერობებს და სთხოვოს, რომ მას მიენდოს სხვა და სხვა წიგნთ-საცავების მოწყობა. რადგანაც ამ წიგნის გამომცემლობას დამოკიდებულება აქვს შრომის ჯგუფთან, ამიტომ გთხოვთ თუ „როდნოი მირმა“ მოგმართოთ ამ თხოვნით, არ შეიწყნაროთ ეს თხოვნაო.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

მთავრობის საქველ-მოქმედო ალბერი.
1910 წ. განმავლობაში 5 ტირაჟი კიდევ. ყოველ ტირაჟში უმთავრესი მოგება 1,000,000. დაწვრილ. ცნობები უფასოდ გეგზავნება: БЕРНАРЪ и Ко, Парижъ, Севастополь бульв., 30. წერა და ადრესი რუსულად შეიძლება.
წერილის გაგზავნა საზღვარ გარედ ღირს ღია ბარათი—4 კ., დაბეჭდილი წერილი—10 კაპ.
(Метцль и Ко N 29201). (4—6.—1)

№ 4870
GOLDENE MEDAILLE
BESTE ALBERT SACHS'S SCHUH-CREAM
„BRISTOL“

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ
საოცრად გავრცელდა ფეხსაცმელების კრემი „ბრისტოლი“, ამის გამო ბევრ სიყალბეს ხვდებიან.
ყურადღება!
ნამდვილია მხოლოდ № 4870
ალბერტ ზაქსი
განტორა: СПБ. Англ. пр. 46 ტელეფ. 321—07. მაღაზია: ყაზანისა 6. ტელეფ. 264—92.
(10—6.—2)
(Метцль и К. N 42944.)

დაიბეჭდა და ურიგდება ხელის მომწერთ
◀ BATON-ის წიგნი: ▶
„ერი და კაცობრიობა,
განხილულნი სოციოლოგიურის მხრივ“
დღეს, 28 აპრილს წიგნები დაურიგდებათ იმ ხელის მომწერთ, ვინც ხელი მოაწერა „დროების“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგ. მაღაზიაში ბ. ივ. ავალიშვილთან.
ვისაც წიგნზე ხელი არ მოუწერია, შეუძლიან იყიდოს „დროების“ კანტორაში, წ.-კ. საზოგადოების ან სხვა წიგნის მაღაზიაში.
წიგნი ღირს ექვს აბაზად. (3—3)

დაიბეჭდა და პირველ მაისს დაურიგდება ხელისმომწერლებს **მაისის** ნომერი
ჟურნალ
„განათლებისა“
შემდეგი შინაარსით: 1. «სამშობლოს გაცნობა». ივ.ვართაგავასი; 2. „სწავლა აღზრდის საქმე ძველ საქართველოში“ (X—XIII საუკ.), დასასრული. სამ. ცომაიასი; 3. «ბუნების შესწავლა სახალხო სკოლებში», ლ. ბ—ისა; 4. „სოციოლოგია», სიმ. ავალიანისა; 5. „ჰაერის ანუ ატმოსფერის ელექტრონი“, ე. ალშიბაიასი; 6. „ადამ და ევა“, (პეყინსკისა). თარ. ე. ფ—ვასი; 7. „მოხუცი და ახალგაზდა“, ლექსი აკაკისა; 8. «მხიარული ღორი», სალტიკოვისა (შჩედრინისა), თარგ. განწირულისა; 9. «ეს მესამე ჩარღუზანა“, ლექსი ირ. ევდოშვილისა; 10. „ხულა და ღმერთები» (დასასრული), ბაჩანასი; 11. „ცრუ-მორწმუნეობა სამეგრელო-აფხაზეთში“, ერასტი როდინაიასი; 12. „საუბრისა და ბუნების მეტყველების პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის; 13 რუსეთი: სასკოლო საკითხი სახელმწიფო საბჭოში, კაზაბერისა; 14. მოწერილი ამბები: ქუთაისიდან—ფარისა, ახალციხიდან—გ. გვარამაძისა, პეტერბურგიდან—ლადო გეგეჭკორისა; 15. ბიბლიოგრაფია—განისა; 16 ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან.
ჟურნალის ფასი წლიურად 3 მან, სოფლის მასწავლებელთათვის —2 მან. ტფილისში ხელის მოწერა მიიღება ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинская Дворянская гимназія Л. Г. Боцвадзе.
(3—1) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

მიიღება ხელის მოწერა
ყველაზე იაფ ახალ ყოველ თვიურ სურათებიან, ლიტერატურულ და მეცნიერულ პოპულიარულ ჟურნალზე
„ისკრი ჟიზნი“
(ცხოვრების ნაპერწკლები)
(„ИСКРЫ ЖИЗНИ“)
ლიტერატურულ განყოფილების გარდა, ჟურნალში იქნება განყოფილებანი: პედაგოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიური, ბიბლიოგრაფიული, ხელოვნება და პროვინციის ცხოვრება. დაიბეჭდება აგრეთვე პოპულიარული სამეცნიერო წერილები ცოდნის სხვა და სხვა დარგზე. მოთავსებული იქნება ანგარიშები და მიმოხილვანი ქალთა და მუშათა მოძრაობაზე, აგრეთვე კოოპერატიულ მოძრაობაზე რუსეთსა და საზღვარ-გარედ.
ჟურნალი დასურათებული იქნება ცნობილ მხატვართა სურათებით, თანამედროვე მოღვაწეთა პორტრეტებით, ყოველ მიმდინარე მოვლენის სურათით და ხშირად დამატებასავით ჟურნალს თან მიჰყვება ნოტები.
ჟურნალის რედაქციას აზრადა აქვს გამოსცეს სულ მცირე ფასიანი სერიოზული და საინტერესო ჟურნალი—სახალხო, მოწაფეთათვის, შრომელ ინტელიგენციისა, გლეხებისა და მუშებისათვის.
ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ლიტერატორები, პუბლიცისტები, მეცნიერები და მხატვრები.
— ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს ფ ა ს ი —
75 კაპ. წელიწადში—12 წიგნზე 75 კაპ. გაგზავნით.
ხელის მოწერა წელიწადზე ნაკლებ ვადაზე არ მიიღება.
ხელის მოწერა მიიღება ჟურნალის რედაქციაში: С. Петербургъ Вас. остр., 5 л
нія, д. N 46, кв. 12. (3—2)

„სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა.
ქართველი და უცხოელი მწერლები
წიგნი მეხუთე
◆◀ მიიღება ხელის მოწერა ▶◆
გი-დე-მოპასანის
თხზულებაზე.
წიგნი გამოვა ჩვეულებრივი ზომისა და ფორმატისა, მოთავსებული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფიული ცნობები. ამას გარდა წიგნის ტექსტი დასურათებული იქნება **დაახლოვებით 20 სურათამდე. წიგნი ხელის მომწერლებისათვის ეღირება 25 კაპეიკათ.** ცალკე გასაყიდად არ გამოვა.
ხელის მოწერა დაიწყება 10 აპრილს და გათავდება 10 მაისს. ხელის მოწერა მიიღება პროვინციაში ყველა აგენტებთან, ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში, Нов. Рѣч. გოლ. პროსპ.—„ელიონის“ წიგნის მაღაზიაში და „სორაპნის“ სტამბაში. ვისაცა სურს წიგნი ფოსტით მოიწეროს, მან უნდა გამოგზავნოს 40 კაპ. მარკა. (8—8)
ადრესი ფოსტის: Тифлисъ, Т—во „Сорапань“.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.